გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№130 (886) 9 - 10 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

წაკითხვისთანავე დამწვით!

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

კბილაშვილისა და კეზერაშვილის ფარული კავშირები



ვინ არის და ვისი რეკომენდაციით დაინიშნა კოტე ყიფიანი თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად

გვ. 5

სოლომონ პავლიაშვილი: „2014 წელი ეკონომიკისთვის საინტერესო იქნება!“

„თუ წართმეული ქონების დაბრუნება სისტემურად კი არა, ქაოსურად მოხდა, ეს ეკონომიკურ ვარდნას გამოიწვევს“

გვ. 4

გვ. 6-7

ინტერვიუ წავკისელ „ფეოდალთან“

თამარ ჩხეიძე: „პატრიარქის გარემოცვაში კაგებეს შეგზავნილები არიან!“

გვ. 8

„ვისოლ ჯგუფი“ 400-მდე სტუდენტს დაასაქმებს

გვ. 8

კომპანიამ ახალგაზრდებისთვის დასაქმების ფორუმი მოაწყო

თურქი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილს კუთვნილი თანხის მითვისებაში აღანაშაულებს

როგორ დაეპატრონა საკაშვილის ბიძის, თემურ აღასანიას ამერიკელი მეზობელი ფოთის პორტს

გვ. 7

დიტო გელოვანი

იმ შემთხვევაში, თუ რაზმის წევრი საიდუმლოს გაამჟღავნებდა, ყელს გამოჭრიდნენ, გვამს დაწვავდნენ, ფერფლს ჰაერში გაფანტავდნენ, სიიდან იმის სახელს სისხლით ამოშლიდნენ და აღარც ახსენებდნენ, დაწყევლიდნენ სამუდამოდ და დავიწყებას მისცემდნენ. ფიცით ყველა აღტაცებული იყო. ტომს ეკითხებოდნენ, შენ თვითონ მოიგონე თუ არაო. მან უპასუხა, ნაწილი ჩემი მოგონილია, ნაწილი კი მეკობრეებზე და ყაჩაღებზე დაწერილი წიგნებიდან ამოვიკითხეო. ასეთი ფიცი ყველა წესიერ რაზმს აქვსო. ზოგიერთებმა აზრი გამოთქვეს, კარგი იქნებოდა, საიდუმლოს გამცემთა ოჯახებიც დაგვეხოცაო. ტომმა მოიწონა ეს აზრი, ფანქარი აიღო და ჩაუმატა.

(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

წაკითხვისთანავე დამწვით!

თინგიზ სხირტლაძის ნახატი

ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა... მგონი, რაღაც შემეშალა, ალბათ, ჩვენი შემოდგომის გაზაფხული უნდა მეთქვა, თუმცა არც შემოდგომა და არც გაზაფხული — დღეს უკვე ზამთარია, არც მთლად ზამთარი (ძველი სტილი და რამე), მაგრამ კალენდარზე დეკემბერია და ვერსად გავექცევით. ზამთრის პარაფირება უკვე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს სულაც არ ეხატება გულზე, ცილიოს სიტყვებით რომ ვთქვათ, წელიწადის ეს ყველაზე სევდიანი დრო, მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, ზამთარი რომ უყვართ და ზაფხულის პაპანაქებას შიშით ელიან?

აი, ევროპისა არ იყოს... ევროპაც ხომ პარაფირებულია?

მოკლედ, ზამთარი გადაწყვეტილი ამბავია, გვინდა თუ არა, ის მოვიდა და კიდევ მოვა, ჩვენით თუ უჩვენოდ. ევროპის ამბავში კი კითხვა ასეთია: ჩვენ უფრო სწრაფად მივალთ ევროპაში თუ ევროპა — ჩვენში?

ჩვენში დარჩეს და, ასე მგონია, რომ ევროპისკენ სავალი გზა ერაყულ ბორდელებზე გადის ანუ ჯერ შუაგულ თბილისში გახსნილ ბორდელებში უნდა შევაღწიოთ და ევროპა ამის შემდეგ მიგვიღებს. აბა, საკუთარ ტერიტორიაზე გახსნილ საროსკიპოში რომ არ შეგიშვებენ, რა გესაქმება თუნდაც სოჰოში და თუნდაც პიგალის მოედანზე? ვიცეკვოთ შალახო, ოღონდ პირდაღებულებმა, გაკვირვებულებმა — შალახო ხომ ჩვენი ცეკვა არ არის. დიახ, არ არის, მაგრამ ეს ერთი შეხედვით და ერთი ცეკვით. და რა... მხოლოდ ერთხელ გვიცეკვია? გაიღიმეთ, ყველა მხრიდან კამერები გვიყურებენ, გვაკვირდებიან, გვსწავლობენ და სანამ ევროპა არ შემოვა ჩვენში, ჩვენ ევროპაში არაფერი გვესაქმება. კოლის, ტეტჩერის და მიტერანის ევროპაში, თორემ გვიდო ვესტერველეს ევროპა თავად ევროპელებს ამოუვიდათ ყელში.

რომ ვამბობთ, მრავალი საუკუნეა, რაც ევროპისკენ ვისწრაფვითო, ეგრეა, მართლაც ვისწრაფვით, მაგრამ ის არის მაგარი ქალების (გი დე მოპასანი, „ფუნთუშა“) და მაგარი კაცების (ერიხ მარია რემარკი, „სამი მეგობარი“) ევროპა და თუ ასე არ არის, მაშინ უკვე დიდი ხანია, ევროპელები ვართ, ყოველი მეხუთე გოგა ხაჩიძის ბლანჟეზე მსჯელობს, ყოველი მესამე — ხატია ბუნიათიშვილის ძუძუებზე.

ნამდვილი ევროპა კი ისაა, ქაჯეთის ციხეს რომ ანგრევ და ქარის წისქვილებს რომ ებრძვი.

ეს — ჩემი აზრით, საერთოდ კი, მე არ ვარ ექსპერტი, მით უმეტეს — მედიაექსპერტი.

მე რომ ექსპერტი ვიყო... მე რომ ექსპერტი ვიყო, ახლა მაგარი დაბნეული ვიქნებოდი და ორაზროვანი უაზრობით ვიტყოდი: „ჩემო ქალაქო, სულ ახლადახალო... ჩემო თბილისქალაქო... თბილისო...“

ასე ვიტყოდი, ასე ვილაპარაკებდი და ბოლოს დავძენდი: „ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი“.

პოეზიის ამბავში და ქალაქურ გაგებაში კი არა, იმ ასპექტში და იმ სეგმენტში, რომ თბილისი არის ქალაქი და ამ ქალაქს სჭირდება მერი, რომელიც ათას ტენდერზე არ გადამხტარა და ათასი პარტია არ გამოუცვლია.

არაპოლიტკორექტულად გამომივიდა, მაგრამ წაშლა და უარყოფა ვერ ვისწავლე... იმ შეწყალების კომისიას კიდევ გავაგებინებდი რამეს, მაგრამ ეს კომისია, ასეთი ზვიადები და ქორისთვალები... ესენი ვერც გამიგებენ და არც გამითვალისწინებენ.

დავიწყე და უნდა დავასრულო კიდეც. დავასრულებ და განაჩენი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გამომიტანოს, შეწყალების კომისიამ შემიწყალოს და შემიწყალებს კიდეც, თუ ქარტიის დაკრულზე ვიცეკვებ, როგორც ნამდვილი მეგავარსკვლავი, მაგალითად — კოტიკო თოლორაია.

აუცილებლად დავასრულებ, თუ არა და, მე ვიყო გოჩა ჩერტკოევი!

თბილისის მერზე მოგახსენებდით... ამ ქალაქს უამრავი ადამიანი-სიმბოლო ჰყავს და ახლა, უცებ, მხოლოდ ორს დავასახელებ — ტერენტი გრანელი და ნიკალა ფიროსმანი, წალენჯიხელი და მირზაანელი. არც ერთი იყო სოლოლაკელი და არც მეორე — ოქროსუბნელი, ორივენი მიკარგული სოფლების ბედკრული შვილები იყვნენ და ბედკრული ქალაქის სიმბოლოებად იქცნენ, რადგან მთავარია გაგება, გაგება კი, ერთხელაც ვიტყვი, სულაც არ არის „შეჩემა“ და „ჩემი დედა“. გაგება არც რაზბორკებია და არც ვილკების გაყრა, არც „კოჭაობა“ 30-იანებში და არც „საშლელობანა“ 70-იანებში. გაგება ერთმანეთზე ფიქრი და ერთმანეთზე ზრუნვაა — შენი მეგობარი შენივე ფსიქოთრაპევტი რომ არის. ის კი არა, როგორც იქაურ ფილმებში — დივანზე რომ წამოგორდებიან და გულს უშლიან... გაგება ის არის, მივარდნილ სახინკლეში რომ წახვალთ, გულისტკივილს რომ მოუყვები, მოგისმენს, გაგიგებს, დაგარიგებს, დაგამშვიდებს, გადღეგრძელებს, მკურნალობის (ხინკალი, არაყი...) ფულს გადაიხდის და ღიღინით დაიშლებით.

ეგეთი რამეები რომ შეგეძლოს, მაინცდამაინც ჩაჩავაში უნდა იყო დაბადებული? გინდაც — ნახალოვკის პირველში ან ორთაჭალის რეზუსიანებში?

არ გაახურეს?! მაიცა და, მარტვილში დაბადებული დავით ნარმანიას ნაცვლად თბილისის მერობის კანდიდატად მიუნჰენში დაბადებული კარლ-ჰაინც რუმენიგე რომ დაესახელებინათ, ასეთი ამბავი ხომ არ ატყდებოდა?

ეს პროფესიონალი თბილისელები მიშლიან ნერვებს და კიდევ ისინი — „მომე ხმა მე“. შენ რომ ხმა მოგცე, „ზესტაფონო“ რა სინდისით ვიმღერო (მეტზე ვერ ვქაჩავ) და „სუპერსტარს“ რა ნამუსით მოვუსმინო?

ტინგიცობენ ძალად ვარსკვლავები, ლაქლაქებენ ვაიპოლიტიკოსები, ტვინს ბურღავენ ვითომექსპერტები და აღზრდას გვიპირებს „საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია“.

ვფიქრობ, საკმაოდ ადეკვატური იყო, როგორც ის — ციციკორეს ტალახს რომ ესვრიან. ციციკორე ხომ ასე იყო: ყველაფერი მე ვარო — საკანონმდებლოც, აღმასრულებელიც და სასამართლოცო! და ვინც ციციკორეს კანონებს არ ცნობდა, ვინც მაგის აღსრულებულს არ იწონებდა და ვინც მაგის სამართალს არ ეთანხმებოდა, ყველა იყო მტერი. ვისაც ეთიკის ქარტიაზე ხელი არ მოგვიწერია, ყველანი არაეთიკურები ვართ, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, კანის ფერისა, აღმსარებლობისა, გემოვნებისა... ყველა!!!

არ მახსოვს, შესაძლოა, სხვა დროს მომიყოლია, მაგრამ ეს ამბავი ახლაც უნდა მოვყვე, ახლაა მოსაყოლი: მოკლედ, 90-იანების შუაში მე და ლადო გოგობერიძე ჩვენი მწირი ფინანსური რესურსებით გამოფენაზე რომ რესტორანი იყო, იმ რესტორანს ვეწვიეთ. ავიღეთ ლობიო, მწნილი და 2 ბოთლი ღვინო. გვერდით 30-კაციანი სუფრა იყო გაშლილი. ქალი თამადობდა. ლადომ მითხრა, დაკვირვებული ვარ, როცა თამადა ქალია, შანსი არ არის, სუფრაზე რამე ექსცესი მოხდესო. მეთქი — ახლა გული სხვას მიგრძნობს. ერთი-ორი საათის შემდეგ ღვინო შემოგვეღლია. ამ დროს იმ სუფრიდან ერთი სულიერი მოგვიახლოვდა, სიგარეტი გვთხოვა. გავუმასპინძლდით. წავიდა, მოვიდა, ერთი ბოთლი ღვინო მოგვიტანა. მადლობა-თქო და ვკითხეთ: „რა სასტავი ხართ — მეზობლები, მეგობრები, თანამშრომლები თუ ვინ?“ პასუხი იყო სრულიად განსაცვიფრებელი: „მაგათი სუყველას დედაც...!“ ვაჰ... ცოტა ხნის შემდეგ იგივე განმეორდა, ოღონდ სიგარეტი სხვამ გვთხოვა, იმ სხვამ მოგვიტანა ღვინო და იმ სხვას დავუსვით იგივე კითხვა — „რა სასტავი ხართ?“ იმ სხვამ გვითხრა: „მაგათი, სუყველას დედაც...“ კიდევ ერთი საათიც და, მეზობელ სუფრაზე ყველა ერთმანეთს ურტყამდა. მე და ლადო პაპიროსს („80“) ვეწეოდით, ვუცქერდით.

თუ იცით, რატომ გამახსენდა ეს ისტორია? რატომ და, ქარტიის რომელ ხელმომწერთანაც კი ქარტიის შესახებ მისაუბრია, აბსოლუტურად ყველა იგინება — აგინებენ ქარტიის საბჭოს, დამფუძნებლებს, წევრებს, თავად იდეას და ბოლოს განწირული სახით სვამენ ლეგენდარულ კითხვას — „მე რა ვქნა, მე?!“

აი, თქვენ კი მოგხვდათ არმაგედონის ზანგის!!!

სწორედ გასულ კვირაში იყო, ე.წ. საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ (საკუთარ თავს ასე უწოდებენ) რომ გადაწყვიტა: „დღეის ამას იქით, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ქარტიის საბჭო განიხილავს იმ ჟურნალისტებზე შემოსულ საჩივრებს, რომლებიც ქარტიის ხელმომწერები არ არიან“.

რეაქცია ასეთი მქონდა — „წადით, თქვენი მსუბუქი ყოფაქცევის დედები...!!!“

რა უნდა ქნა და — გადააბუნებრივმოთხოვნილეთ ერთმანეთს.

აბა, რა მესაქმება მაგ ქარტიაში? ეგენი მე ვერ შემაგინებენ და მე ისედაც ვაგინებ, ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე.

ასე თუ ისე, გადაწყვეტილება მიღებულია. ხვალ ვინმე საჩივარს შეიტანს სჟექში (საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია) — დიტო გელოვანმა ქარტიის ესა და ეს მუხლი დაარღვიაო. ქარტიის საბჭოს სხდომაზე მიმიწვევს. ვაგინებ. სხდომა ჩატარდება უჩემოდ. დამირეკავენ და გადაწყვეტილებას გამაცნობენ — ჯერ დახვრეტა, შემდეგ ჩამოხრჩობა. ვაგინებ. გინებას ერთ ყურში შეუშვებენ და მეორე ყურიდან საკუთარი დედების მიმართულებით გაუშვებენ. იცოდნენ, ასე რომ იქნებოდა — ელოდნენ, არ გაუკვირდებათ. მთავარი კი ის არის, რომ საქმეში ჩაეთვლებათ, თავიანთნაირ უსაქმურებთან, დამფინანსებლებთან, თავს მოიწონებენ, გეგმით 20 გვყავდა მისაჯირყნი, გეგმა-ვალდებულებით — 22, რეალურად კი 24 მივჯირყნეთო.

სტატისტიკის მოყვარულთათვის: ხელმოწერიდან ოთხი წლის თავზე ქარტიაზე ხელი 220-ზე ოდნავ მეტ ჟურნალისტს აქვს მოწერილი, სულ განიხილეს 17 თუ 18 განცხადება, დაიხარჯა... უკვე სათვალავი ამერია, თუმცა შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ ქარტიის 11 პუნქტის შესაქმნელად თავიდან 47 ათასი ევრო გამოიყო, შემდეგ, დამატებით — კიდევ 20 ათასი და იმის შემდეგ რა მოხდა, ვერაფერს გეტყვით.

ასე რომ, უკვე სამჯერ ვარ დასაჭერი: 1. რადგან ვარ ქართველი, მაგრამ ნამდვილ ევროპაზე ვფიქრობ; 2. რადგან ვარ თბილისელი, მაგრამ ქალაქის ნამდვილ მერზე ვოცნებობ; 3. რადგან ვარ ჟურნალისტი, მაგრამ არ ვარ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის ხელმომწერი, რამეთუ ა) ოჯახში ვარ გაზრდილი და დამატებითი ქარტია-მარტიები არ მჭირდება; ბ) სიტყვის თავისუფლება ჩემი უფლებაა და არავის დავუთმობ.

ერთხელაც იქნება და, დამიჭერენ. ვინც დამიჭერს, ის გამასამართლებს და ხელების ფშვნეტით დაელოდება შეწყალების თხოვნას, რომელსაც, ჰგონია, რომ დავწერ. დაელოდება შეწყალების კომისიის იმ სხდომას, რომელზეც შემიწყალებს, მაგრამ მე არ დავწერ ამ თხოვნას, თუმცა მაინც დავწერ რაღაცას, კონვერტზე დავაწერ „გახსნას და წაიკითხოს ამხანაგმა იმანომ სხდომის დაწყების შემდეგ“ და გავუგზავნი. გახსნის ამხანაგი იმანო და წაიკითხავს: „საკანში მარტო ვარ. აქ სიტყვის თავისუფლებაა. ბებიაშენი შეიწყალე“.

რა თქმა უნდა, ისიც შემიძლია, რომ არმაგედონის ზანგისა ვუსურვო, მაგრამ იმასაც ეგ უნდა და ამიტომაც არ ვუსურვებ.

გასულ კვირაში მოსმენილი ანეკდოტი: ორი ცხვარი საუბრობს. ერთი ეუბნება: „იცი, თურმე, ჩვენს მატყლს ყიდიან, ჩვენი რძისგან ყველს აკეთებენ და მდიდრდებიან. უფრო მეტიც — დაკვლას და შეჭმას გვიპირებენ“. მეორე ცხვარი სინანულით თავს აქნევს: „ეს შეთქმულების თეორიები, ერთხელაც იქნება, გადაგრევს“.

ვისაც მე ცხვარი ვეგონო, ის იყოს გოჩა ჩერტკოევი!

ვისაც თბილისის მერად გიგი უგულავა უნდა, ის იყოს კოტიკო თოლორაია.

გასულ კვირაში ბევრი რამ მოხდა — ბევრი ხდებოდა და ზოგიც სუქდებოდა. ეს არ იყო ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. ეს იყო ის, რაც ხდებოდა ჩემს გულში და ჩემს თავში და რაც, შემდეგ, შევეცადე, რომ ქაღალდზე გადამეტანა.

მაგრამ, როგორი გადასატანია, რომ უკვე ერთი კვირაა, რაც თემო კილაძე აღარ არის?

ჰ.რ. ს.ჟ.ე.ქ. (ჰაიტარაკუმენ რესპუბლიკა, სჟექ) ამასობაში, პატარა ტომ ბარნსს ჩასძინებოდა, როდესაც გააღვიძეს, შეეშინდა და ტირილი მორთო — დედასთან მინდა, ყაჩაღობა აღარ მინდაო. ყველამ მასხარად აიგდო და მტირალა უწოდა. ამან იგი ისე გააშმაგა, რომ გამოაცხადა, ახლავე წავალ და ყველა საიდუმლოს გავთქვამო. მაგრამ ტომმა დასამშვიდებლად ხუთი ცენტი აჩუქა, ჩვენ კი გვითხრა, შინ წავიდეთ ყველანი, მომავალ ხუთშაბათს ერთმანეთს შევხვდებით, ვინმეს გავძარცვავთ და მოვკლავთო.

(მარკ ტვენი,
„ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

მიშა ისევ მაგარია ანუ შესაძლოა „კმარა“ აღდგეს?!

ირეზო შატაკიშვილი

„ვიცი, დრო მოვა, როდესაც ისტორია იტყვის, რომ რუსეთის იმპერია, აქ ევრომაიდანზე დამთავრდა“, – მიხეილ სააკაშვილი რუსეთის იმპერიის აღსასრულს მაიდანზე აანონსებს. ევროპის მთავარი საჭადრაკო დაფა მაიდანზე დგას. როგორც კიევში ჩასული სააკაშვილი იტყვის, სწორედ აქ მიმდინარეობს ევროპის დიდი გეოპოლიტიკური დრამა.

ევრომაიდანზე წყდება უკრაინის ბედი, ჩვენი და საერთოდ, ევროპის ბედი – რუსეთმა თუ ამხელა ლუკმა გადაყლაპა თავის იმპერიულ მუცელში, არც დანარჩენ ევროპას დაადგება კარგი დღე. ეს იცის ევროპამ, ეს იცის უკრაინის დროშის ფერებში აელვარებულმა ეიფელის კოშკმა. რუსეთი რომ ახალი იმპერიის შექმნას ცდილობს და საამისოდ ყველა ხერხსა და ღონეს ხმარობს, ამას მგონი, მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებაში „არ ხვდებიან“. ამ დუნიაზე, მხოლოდ ეს ჩვენი ხელისუფლება და მისი „პრიმადიპლომატი“ მაია ფანჯიკიძე თუ მოინადინებდა, გამიჯვნოდა სააკაშვილის გამოსვლას უკრაინელი ხალხის წინაშე. ვითომ ჩვენ გვითხრა, რეალურად კი, როგორც მათე ბიჭმა მეფე ერეკლეს, ისე შეჰღაღადა პუტინს – სააკაშვილის განცხადებები ჩვენი მთავრობის პოზიციას არ გამოხატავსო.

ჯერ ერთი, ვერ გავიგე, ვინმეს ეგონა, რომ სააკაშვილის განცხადებები ამ მთავრობის პოზიციებს გამოხატავდა, თუ ამათ სააკაშვილი თავისი რუპორი ჰგონიათ? ან სააკაშვილმა სადმე თქვა, რომ მთავრობის პოზიციას გამოხატავს? სააკაშვილმა ბრიფინგზეც თქვა, მაიდანზეც, ჟურნალისტებისთვის მიცემულ კომენტარებშიც, რომ ჩავიდა, როგორც დამოუკიდებელი მოქალაქე – უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად, უთხრა, რომ ქართველი ხალხი მხარს უჭერს მათ, რომ საქართველო მათთან ერთად დგას. ჩვენმა მთავრობამ „საქართველო“ დაირქვა? „უჟე“? ლუიმ მოგიკითხათ, მეთოთხმეტემ. ახლა, ქალბატონ ფანჯიკიძეს თუ იმაზე ეწყება გულყრა, რომ უკრაინელი ხალხი ქართველი ერის აზრის გამომხატველად მიშას მიიჩნევს და კიდევ იმაზე, რომ ქართველი ხალხი (მისი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში) მხარს უჭერს უკრაინელ ერს რუსეთის იმპერიული ზრახვების წინააღმდეგ, რა უნდა შევთავაზოთ ქალბატონ მინისტრს? რა ვიცი, ამ დროს ნიშადურის სპირტს აქებენ...

ევრომაიდანზე მიშა გამოვიდა – უკრაინელ ხალხს, უკრაინულად მიმართა – მაიდანი სკანდირებდა „მიშა, მიშა!“ ოპოზიციის შტაბში გამოსვლის შემდეგ „მიშა მაგარია“ ისმოდა. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, რას ნიშნავს ეს რამდენიმეწუთიანი ეპიზოდი? დავიწყოთ იმით, რომ მას შეუძლია, უკრაინელებს მიმართოს უკრაინულად და ყველამ ყველაფერი გაიგოს – არ სჭირდება განმმარტებლები, „იოანე ოქროპირების“ არმია ზოგიერთებივით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სააკაშვილი სულ რამდენიმე წელი ცხოვრობდა უკრაინაში, შეეძლო, რუსულით გასულიყო იოლად, მაგრამ მაინც ისწავლა უკრაინული ენა... მაიდანზე სააკაშვილის გამოსვლა და „მიშა, მიშა“ ნიშნავს, მინიმუმ იმას, რომ ძალიან ბევრმა საქართველოში – პოლიტიკოსმა, ექსპერტმა, მესამე სექტორის ღვიძლმა თუ თირკმელმა შვილმა და ბევრმაც გარეთ, მაგალითად კრემლში ვოვამ, ნაადრევად ჩათვალეს მიშა ჩამოწერილად, მეტისმეტად ადრე ჩამოისვეს ხელი ტუჩის კუთხეებთან. არადა, ფაქტია, სააკაშვილს კვლავაც შეუძლია მასების აყოლიება, მისი ქარიზმა არსად გამქრალა და სწორედ ამიტომაცაა კრემლისთვისაც და თუნდაც უკრაინის დღევანდელი ხელისუფლებისთვის საშიში. თუმცა თავად მიხეილ სააკაშვილი განმარტავს, რომ უცხოელების საქმე არაა, ვინ როგორ უნდა წავიდეს თანამდებობიდან. **„ჩვენ არ გვაქვს უფლება, მივუთითოთ უკრაინელებს, რა გააკეთონ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვინმეს ვუთხრათ, რომ გადადგეს ან ვინმემ გადაიბაროს მთავრობა, ვინმემ რაიმე ნაბიჯი გადადგას. ეს ჩვენ არ გვეხება და მხოლოდ უკრაინელი ხალხის საქმეა“,** – აღნიშნავდა მიშა ოპოზიციის შტაბში გამართულ მიტინგზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, კიევში მიშას გამოჩენისთანავე, რევოლუციის სურნელი იყნოსეს. საერთოდ, კიევში პროცესების დაძაბვისთანავე გაჩნდა მოლოდინი – მიშას მოლოდინი ანუ ჩავიდოდა თუ არა სააკაშვილი კიევში, ევრომაიდანზე. ეს კითხვა ბევრს აწვალებდა, ბევრს ეგონა, რომ მიშა ამას მოერიდებოდა, ბევრს – რომ აუცილებლად ჩავიდოდა – სხვაგვარად გული არ მოუთმენდა, ვიღაცები გაუმართლებლადაც კი მიიჩნევდნენ — არ უნდა ჩავერიოთო. მაგათ მიშა, მგონი, ისევ თავისი პრეზიდენტი ჰგონიათ, ისე სთხოვენ პასუხს რაღაც-რაღაცებზე. დამთავრდა, ვინც აირჩიეთ, იმის მარშრუტი აკონტროლეთ, გინდა „პეშკომ“ ატარეთ და მერე გაცვეთილი „ტუფლების“ საკომპენსაციოდ ხელფასი გაუორმაგეთ, გინდაც სულ შვეულმფრენით აფრინეთ – მისი ხელდამსხმელი რომ „ვერტალიოტს“ ეძახის, იმით. სააკაშვილი კიევში ჩავიდა. ჩავიდა და უკრაინულ მედიაში გაჩნდა ცნობები ერთობ საინტერესო სოუსით – რომ სააკაშვილი კიევში „კმარას“ აქტივისტებთან ერთად ჩავიდა, რომლებმაც თბილისში „ვარდების რევოლუცია“ მოაწყვეს, რომ მათთან ერთად არიან **„ნარინჯისფერი რევოლუციის“ იდეოლოგები, კერძოდ** — **ცნობილი სერბი მარკო ივკოვიჩი, რომელიც სერბეთში, საქართველოსა და უკრაინაში „საბრძოლო ქვედანაყოფებების“ შექმნით იყო დაკავებული. „რევოლუციების ორგანიზების სფეროში სპეციალისტების მუშაობის შედეგი უახლოეს მომავალში უნდა გამოჩნდეს“,** – წერდა უკრაინული მედია. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილის კიევში ჩასვლის შემდეგ, ოპოზიციის მოთხოვნების კორქეცია მოხდა, მიიღო უფრო მკაფიო, საქმიანი და თანმიმდევრული სახე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი ნიშნები უკვე არის კიდეც.

მოკლედ, კიევი ახალი რევოლუციის მოლოდინშია. კიევში ჩასული სააკაშვილი უკრაინის შიდაპოლიტიკაში ჩარევას არ გეგმავს, მაგრამ თვითონ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს არ განიხილავს შიდაუკრაინულად – სააკაშვილის განცხადებით, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, პუტინის მიერ სუვერენული ევროპული ქვეყნის რეიდერული დაპყრობაა. **„ეს კი მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოსა და ჩვენი საქმეა იმიტომ, რომ ეს უკვე ჩვენ ყველას გვეხება“,** – დასძენს სააკაშვილი. **„ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ აქ მიმდინარეობს ევროპის დიდი გეოპოლიტიკური დრამა. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ბანდიტური მიტაცება უკრაინის. იპყრობენ დიდ ევროპულ ქვეყანას ყველაზე საზიზღარი მეთოდებით და ამას არა მხოლოდ უკრაინისთვის ექნება ცუდი შედეგი, არამედ ევროპისთვის... პუტინისთვის უკრაინა არის ტერიტორია, მან ნატო-ს სამიტზე, რომელსაც მე ვესწრებოდი, 2008 წელს ბუქარესტში პირველად თქვა, რომ უკრაინა არ არის ქვეყანა, ეს არის ტერიტორია. მას შემდეგ ამას იმეორებს ყველა შეხვედრაზე და არა მხოლოდ იმეორებს, ახორციელებს კიდეც. ახლა გაჩნდა ახალი რუკა, სადაც უკრაინა გახლეჩილია ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინად. ეს არის ბლეფი, რუსეთი ცდილობს, თავზე მოახვიოს ეს ბლეფი დასავლეთს. თან ეს არის მზადება უკრაინის შემდგომი გახლეჩისთვის. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი ტყუილად არაფერს ამბობს, თუ მუქარას აგზავნის, ახორციელებს კიდეც. ერთხელ მან მითხრა, თქვენი მეგობრები ევროპაში ბევრ კარგ რამეს გპირდებიან, მაგრამ ვერაფერს შეასრულებენ, მე კი კარგს არაფერს გპირდებით, მაგრამ ყოველთვის ვასრულებ. ის ძალიან ბევრ ცუდ რამეს დაჰპირდა უკრაინას“,** – განაცხადა სააკაშვილმა უკრაინაში, მაგრამ ეს, მგონი, უკრაინელებს ძალიან კარგადაც ესმით, ესმის მათ პატრიარქს ფილაერტის, მე რატომღაც მგონია, რომ კიევში ჩასული მიშა ისევ ჩვენი და ევროპის გასაგონად ლაპარაკობს. ასე მაგალითად: მაიდანზე სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ის იმყოფებოდა არა უბრალოდ ევროპაში, არამედ ევროპის გულში, **„თქვენ ევროპული იდეალების ცენტრს წარმოადგენთ“,** – უთხრა სააკაშვილმა მაიდანზე შეკრებილებს და თან ბებერ ევროპას შეახსენა, რომ ევროპული ღირებულებები ახალ ევროპაშია, იმ ახალგაზრდა ევროპაში, რომელიც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორია და არ ელოლიავება რუსეთს.

კიევი ახალი – ევრორევოლუციის მოლოდინშია, ამიტომაც მიიღო სააკაშვილი უკრაინელმა ხალხმა არა როგორც გოგოლის რევიზორი, არამედ როგორც არქიტექტორი. საქართველოდან ერთხელ უკვე გადაედო რევოლუციური ტალღა უკრაინას. ახლა ფაქტია, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად იქ იწყება რევოლუციური პროცესები და გამორიცხული არაა, აქაც აგორდეს – პრეცედენტს დიდი ძალა აქვს. „ვარდების რევოლუციის“ პრეცედენტმა ბიძგი მისცა ნარინჯისფერ რევოლუციას, ევრორევოლუცია ბიძგს მისცემს რას? იმას, რისიც ეშინია დღევანდელ მეოცნებე ხელისუფლებას. დიახ, თუ უკრაინელმა ხალხმა თავისი ხელისუფლება გადმოაყირავა ევროპული ღირებულებების ღალატისთვის, გამორიცხული არაა, აქაც იგივე მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, ხალხი კიდევ ერთხელ ირწმუნებს, რომ გაერთიანების შემთხვევაში, მარტო ხელისუფლების შეცვლა კი არა, კრემლის მზაკვრული, მტაცებლური გადაწყვეტილებების შეცვლაც შეუძლიათ. მართლაც და, რას უნდა მოასწავებდეს კიევში ერთად ჩასული მიშა, „კმარელები“ და სერბი მარკო ივკოვიჩი, თუ არა ახალ რევოლუციას? ისე, ცნობისთვის, „კმარას“ საქართველოში აღდგენას, საჭიროების შემთხვევაში, არ გამორიცხავს არც თეა თუთბერიძე... რა ვიცი, მაინც რომ იცოდეთ...

ევროკავშირი რუსეთს „სამხრეთ ნაკადის“ გადაკეტვით ემუქრება

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ანატოლი იანოვსკის განცხადებით, რუსეთის ენერგეტიკის სამინისტრომ ევროკომისიისგან მიიღო ოფიციალური წერილი, სადაც სატრანზიტო ქვეყნებთან იმ შეთანხმებების გადახედვაზეა საუბარი, რომელიც „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობას ითვალისწინებს.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაზსადენ „სამხრეთ ნაკადს“, რომელსაც „გაზპრომი“ აშენებს, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი ევროპაში ფუნქციონირებისთვის. იმ ქვეყნებთან შეთანხმებას, რომლის ტერიტორიებზეც მილსადენი გაივლის, არ აქვს იურიდიული ძალა, ვინაიდან ევროკავშირის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ამიტომაც ევროკომისია დაჟინებით მოითხოვს ამ შეთანხმების გადახედვას.

ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისრის წარმომადგენლის, გიუნტერ ეტინგერ მარლინ ხოლცნერის თქმით, საქმე ეხება ევროკავშირის მესამე ენერგეტიკულ პაკეტს, რომლის თანახმადაც, მილსადენი არ შეიძლება იმ ენერგოკონცერნების კუთვნილებაში იმყოფებოდეს, რომელიც რესურსების მომპოვებელი და მწარმოებელია. „სამხრეთ ნაკადის“ შემთხვევაში კი, „გაზპრომი“ გაზის ექსპორტიორი და მილსადენის მფლობელიცაა.

„სამხრეთ ნაკადი“ არ იფუნქციონირებს ევროპის ტერიტორიაზე, თუკი ევროკავშირის კანონმდებლობას არ შეესაბამება“, — განაცხადა ევროკომისიის ენერგეტიკული დეპარტამენტის წარმომადგენელმა, კლაუს-დიტერ ბორხარდტმა.

„ინტერპრესნიუსი“

სასჯელაღსრულების სამინისტრო მოშიმშილე პატიმრების ოჯახის წევრებს მიმართავს

ქვეყნის მასშტაბით არსებულ საპყრობილეებში, ჯამში, 146 პატიმარი შიმშილობს — მათი მთავარი მოთხოვნა საქმეების გადახედვა და კანონმდებლობიდან 223-ე პრიმა მუხლის ამოღებაა.

სასჯელაღსრულების სამინისტროში განმარტავენ, რომ საქმეების გადახედვასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ განმარტებები გააკეთა და მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე მსჯელობა მიმდინარეობს, ამიტომ პატიმრები მთავრობის გადაწყვეტილებას უნდა დაელოდონ.

რაც შეეხება კანონმდებლობიდან 223-ე პრიმა მუხლის ამოღებას, სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული მუხლი „ქურდული სამყაროს“ წევრებისა და „კანონიერი ქურდების“ დასჯას ითვალისწინებს, რაზეც მთავრობას ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს და საკანონმდებლო ნორმის გადახედვა არ იგეგმება.

„სამინისტრო მოშიმშილეების ჯანმრთელობის მდგომარეობას აკონტროლებს და მათ მაქსიმალური ყურადღება ექცევათ, თუმცა ადამიანის ჯანმრთელობის რესურსი ამოწურვადია და მოშიმშილე პატიმრების ოჯახის წევრებს მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ მსგავსი რადიკალური ქმედებისგან“, — აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

სხვადასხვა საპატიმროებში მსჯავრდებულთა შიმშილობისა და თვითდაზიანების ფაქტების შესახებ „პირველს“ რუსთავისა და ქსნის საპყრობილეების პატიმრებმა აცნობეს.

„პირველი“

სოლომონ პავლიაშვილი: „2014 წელი ეკონომიკისთვის საინტერესო იქნება!“

„თუ წართმეული ქონების დაბრუნება სისტემურად კი არა, ქაოსურად მოხდა, ეს ეკონომიკურ ვარდნას გამოიწვევს“

ნიკა ჯანხოთელი

„ეკონომიკური საბჭო პირველად 1992 წელს, სახელმწიფო მეთაურთან შეიქმნა, შემდეგ პრეზიდენტთანაც არსებობდა, მაგრამ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ახლა კი, პრემიერთან შექმნილი ეკონომიკური საბჭო, ვფიქრობ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რადგან მასში ყველა ის ინსტიტუცია შედის, რომელიც ძალიან დიდი ფინანსების განმკარგავია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს პრემიერი უხელმძღვანელებს. ისე, კარგი იქნება, თუკი საბჭოს შემადგენლობაში დამოუკიდებელ ექსპერტებსაც შეიყვანენ“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოლომონ პავლიაშვილი, რომელიც ახლახან საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

— არის საკითხები, რომლებიც მთავრობის სხდომაზე კი არა, უფრო ოპერატიულად უნდა გადაწყდეს, ამიტომაც ეკონომიკურმა საბჭომ შეიძლება გადაწყვეტილებებიც მიიღოს ან შემუშავებული საკითხები მთავრობის სხდომაზე გავიდეს.

— პრემიერთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია უნდა შეიმუშაოს?

— არა, ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება მთავრობის პრეროგატივაა, საბჭომ კი ოპერატიული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, მაგალითად — რომელი სექტორისკენ უნდა მიიმართოს რკინიგზის დივიდენდები; ასევე ბიუჯეტის გარედან მოიზიდოს სახსრები, რომლებიც სოციალურ სფეროს მოხმარდება. საბჭოში წარმოდგენილ ყველა ფულად-ეკონომიკურ სტრუქტურას ფინანსური რესურსები აქვს და შესაბამისად, საბჭოს ამ რესურსების განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღება რაღაც დონეზე შეეძლება.

— ბატონო სოლომონ, ამბობთ, ანალოგიური საბჭო 1992 წლიდან არსებობსო, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ მას არაფერი გაუკეთებია...

— ყველაფერი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ანტიმონოპოლიური სამსახურიც არსებობდა, რომელიც ინსტიტუციურად კარგი იყო და შესანიშნავი საკანონმდებლო ბაზაც ჰქონდა, მაგრამ ანტიმონოპოლიური უწყება რომ არ მუშაობდა, იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო. რაც შეეხება ეკონომიკურ საბჭოს, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, დარწმუნებული ვარ, იცის, საბჭომ რა უნდა გააკეთოს და ის მხოლოდ ვიზუალურად არ შეუქმნია. სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ გახდება ეკონომიკური საბჭოს მდივანი.

— არსებობს ალბათობა, რომ საბჭო კორუფციული გარიგებების, ასე ვთქვათ, ოაზისად იქცეს?

— კორუფცია პრემიერთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოში კი არა, შეიძლება, ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში არსებობდეს. მთავარია, საბჭო ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური ვითარების გამოსწორების გზებს როგორ დაინახავს...

— ბატონო სოლომონ, მართალია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ირწმუნება, ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა არაა, მაგრამ თუნდაც ლარის გაუფასურება საწინააღმდეგოს აჩვენებს. ასეთ დროს, თქვენი აზრით, საბჭომ პირველად რა ნაბიჯი უნდა გადადგას?

— მნიშვნელოვანია, ქვეყანამ აქცენტი იმპორტჩანაცვლებად პროდუქციაზე გააკეთოს ანუ იმპორტი რაც შეძლება შევამციროთ და ადგილობრივი პროდუქციით ჩავანაცვლოთ.

— ადგილობრივი წარმოება „გადაუდებელ დახმარებად“ არ გამოდგება, რადგან მის ამუშავებას დრო სჭირდება...

— მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში 7 ათასი დასახლების პროდუქციის შეტანაზე პრეფერენცია ანუ შეღავათები გვქონდა, შეიძლება ითქვას, ექსპორტზე ერთი დასახელების პროდუქტის გატანაც ვერ შევძელით, რადგან ხარისხი ევროსტანდარტებს არ შეესაბამება.

— სიტყვამ მოიტანა და, მაგალითად, ციტრუსი გლეხებს უცხოურ და, მათ შორის, რუსეთის ბაზარზეც ხარისხის კი არა, იმის გამო ვერ გააქვთ, რომ საბაჟო ტარიფებია მაღალი...

— პრობლემა მხოლოდ საბაჟო ტარიფები კი არა, კონკურენტული გარემოცაა, თუმცა როცა სახელმწიფო ხარ, შენი ფუნქცია მხოლოდ კრედიტების გაცემა კი არა, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობაში საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა უნდა იყოს. ციტრუსი მალფუჭებადი პროდუქტია, ამიტომ სახელმწიფომ, მაგალითად, სამაცივრო მეურნეობები უნდა შექმნას...

— ხელისუფლებას ერთი წელი ჰქონდა, რომ ციტრუსის სეზონისთვის მომზადებულიყო. თქვენი აზრით, „ოცნება“ ამ კუთხით ისე რატომ არ მოემზადა, როგორც „რთველი 2013“-სთვის? სხვათა შორის, რამდენიმე აჭარელ მეციტრუსეს ვესაუბრე და, მათი თქმით, 9 წლის განმავლობაში ანალოგიური პრობლემები არ ჰქონიათ, რამეთუ სააკაშვილი და ვარშალომიძე თუნდაც უკრაინასთან საბაჟო საკითხებს თურმე პირადი ურთიერთობებით აგვარებდნენ...

— პირადი ურთიერთობები მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ისე უნდა დავალაგოთ, პროტექციონისტული მიდგომები აღარ გვჭირდებოდეს. საერთოდ, ყველაფერი თანხებზეა დამოკიდებული, თუმცა შემიძლია, თამამად ვთქვა — წლევანდელი რთველი, საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, კახელებისთვის ყველაზე განსხვავებული იყო.

— რას გულისხმობთ?

— გლეხებს არც ყურძნის ჩაბარების პრობლემა ჰქონდათ და არც დიფერენციაცია არსებობდა. წინა წლებში კი, თუ გლეხს ათ ჰექტარზე მეტი ჰქონდა, ყურძნის ჩაბარებაზე ბარიერს უქმნიდნენ — ბიზნესმენი ხარ და სხვა შემოსავლებიც გექნებაო... ამიტომ წელს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვქვეშ იდგა, რუსეთის ბაზარი გაიხსნებოდა თუ არა. მოკლედ, ხელისუფლების ნებით, კახეთში შეიქმნა მოტივაცია, რომ გლეხებმა სხვა კულტურა, მაგალითად, ზეთისხილი არ გააშენონ...

— როგორც ამბობენ, კახეთში ზეთისხილის გაშენებას პატიმრობაში მყოფი შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ლობირებდა...

— ეს არ ვიცი, მაგრამ 9 წლის განმავლობაში ყურძნის მოყვანას აზრი არ ჰქონდა და ხალხმა ვაზის გაჩეხვა მასობრივად დაიწყო. საერთოდ, ადამიანს, რომელმაც ხარჯი გასწია და მოსავალს ელოდება, ძნელია, ეროვნულობაზე ლოზუნგებით ელაპარაკო...

— მაშასადამე, „ოცნების“ ერთწლიანი მოღვაწეობის მთავარ ეკონომიკურ შედეგად წარმატებულ რთველს მიიჩნევთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბიუჯეტს სეკვესტრი ემუქრება...

— მიზეზი, პირველ რიგში, ხელისუფლების შეცვლა, ამასთან პრაქტიკულად, ერთ წელიწადში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ ადგილი გარკვეულ საბოტაჟსაც ჰქონდა.

— ეს რისკები ფინანსთა მინისტრს ხომ უნდა გაეთვალა?

— ფინანსთა მინისტრს თავი დავანებოთ, რადგან ბიუჯეტში მთელი ეკონომიკური ბლოკია ჩართული...

— ახალ პრემიერს ეკონომიკური ბლოკი არ უნდა შეეცვალა?

— ამ ეტაპზე, ახალი კაცის გამოჩენა, შეიძლება, მიზანშეწონილი არ იყო, თან ეკონომიკური გუნდი, ასე თუ ისე, სინქრონულად მუშაობს, თუმცა რაც გაკეთდა, გარკვეული პიარი სჭირდება, იგივე კომპენსაციას, რომელიც კახეთში, სტიქიით დაზარალებულ გლეხებზე გაიცა — არასოდეს დაურიგებიათ 97 მილიონი ლარი ხალხისთვის... ბიუჯეტს პრობლემები შემცირებული ინვესტიციებითაც შეექმნა...

— რა ვიცი, კახი კალაძე ამბობს, ერთ წელიწადში, ენერგოინვესტიციები 32 პროცენტით გაიზარდაო...

— ინვესტიციებზე საუბარი სექტორებით არ შეიძლება. როგორც ვიცი, წელს ინვესტიციები 500 მილიონს უტოლდება, რაც შარშანდელთან შედარებით, მცირეა.

— ინვესტიციების გაზრდაზე ბიძინა ივანიშვილის, როგორც მსოფლიოში ცნობილი მილიარდერის ფაქტორმა რატომ არ იმუშავა?

— იმიტომ, რომ ნაციონალების მხრიდან საერთაშორისო ტრიბუნებიდან კეთდებოდა განცხადებები, საქართველოს მიკრო და მაკროეკონომიკაში სერიოზული ვარდნაო. ყველა ასეთი უარყოფითი გამონათქვამი ეკონომიკაზე გავლენას ახდენს ანუ ისევ პიართან მივდივართ...

— ანტიპიარად, შეიძლება, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის არშექმნაც ჩაითვალოს?

— ეს თემა ორ ნაწილად უნდა გავყოთ — ჯერ ერთი, ჩამორთმეული ქონების თითოეული საკითხი დამოუკიდებლად უნდა იქნას განხილული. მეორეც, არ მგონია, რომ ქონების დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა ბიუჯეტმა უნდა აიღოს. ბიუჯეტმა ჯერ, მაგალითად, მეანაბრეების 501 მილიონი და 200 მილიონამდე კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ვალი უნდა გაისტუმროს, რაც წინა წლებში შიდავალადაა აღიარებული. სხვათა შორის, „ქართულ ოცნებას“ ვალდებულება არ აუღია, ხელისუფლებაში რომ მოვალ, ამ ვალებს გავისტუმრებო. მან ვალდებულება სამართლიანობის აღდგენაზე აიღო, სამართლიანობის აღდგენა კი ის იქნებოდა, თითოეული წართმეული ქონების საკითხის იურიდიული შესწავლა დაწყებულიყო, მაგრამ ამაზე უარის თქმა ძალიან ცუდია. სხვათა შორის, თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს ურთულესი თემაა და, როგორც სახელმწიფოს ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, ორ-სამ თვეში არ დამთავრდებოდა. ჩემი აზრით, ამ საქმეების შესწავლა პროკურატურას გაუჭირდებოდა, ამიტომ გია მეფარიშვილის არ იყოს, სპეციალური ჯგუფი უნდა შექმნილიყო, რომელიც პროკურატურას დაექვემდებარებოდა... ისე, სახელმწიფოს შეუძლია, ქონება, რომელიც ნაციონალებმა ამა თუ იმ ადამიანს ჩამოართვეს და დღეს სახელმწიფო საკუთრებაშია, კანონიერ მფლობელს სიმბოლურ ფასად, პირდაპირი მიყიდვის წესით დაუბრუნოს. ასეთი ქონება კი, მთლიანი წართმეული ქონების, ალბათ, 10-15 პროცენტია... საერთოდ, თუ წართმეული ქონების დაბრუნება სისტემურად კი არა, ქაოსურად მოხდა, ეს ეკონომიკურ ვარდნას გამოიწვევს.

— პრემიერთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ ამ თემაზეც უნდა იმსჯელოს?

— შეიძლება იმსჯელოს, მაგრამ ამ კუთხით სტრატეგიას ვერ შეიმუშავებს, რადგან ეს პოლიტიკური ნების ნაწილია, რაზეც პასუხისმგებლობა მთელმა პოლიტიკურმა გუნდმა უნდა აიღოს.

— ამასობაში, ლარი „გაფრინდა“. რატომ?

— ლარის კურსის დაცემაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა ბრუნვიდან 400 მილიონი დოლარი ამოიღო, რითიც დოლარის დეფიციტი ხელოვნურად შეიქმნა.

— ეროვნული ბანკი ასე რატომ მოიქცა?

— ამის ერთ-ერთი მოტივაცია, ალბათ, მონეტარული პოლიტიკაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაფერი ეს აზარტში გადაიზარდა... ბოლო დღეებში ეროვნულმა ბანკმა გასაყიდად 80 მილიონი გამოიტანა, მაგრამ ეს უკვე აღარ შველის, რადგან ხალხი დოლარს უფრთხილდება ანუ დოლარზე მოთხოვნა სისტემურად კი არა, ფრაგმენტულად გაიზარდა და ყველას — ბიზნესმენსა თუ მოსახლეობას დოლარის დეფიციტის განცდა დაეუფლა. ეკონომიკაში ასეთი მოლოდინი, რბილად რომ ვთქვა, ცუდია. ამასთან, ზამთარია და იმპორტი გაზრდილია. ისიც მნიშვნელოვანია, რომ უარყოფითი სალდოც მაღალია... მოკლედ, რაღაცნაირად ინფლაციის მოლოდინი იგრძნობა და საშიშია, იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა არ დაიწყოს.

— იმპორტული საქონლის გაძვირება მოსალოდნელია?

— დიახ... ასეთი ვარდნა ლარს 2010 წელსაც ჰქონდა. ეროვნულ ბანკს იმდენი რეზერვი აქვს, ლარის კურსი დაარეგულიროს, მაგრამ არ ჩქარობს. ისე, ეროვნული ბანკი შეიძლება, არც ელოდა, კურსი ასე თუ დაეცემოდა... ლარზე, ცხადია, ინვესტიციების შემცირებამაც იმოქმედა...

— ვითარება კატასტროფამდე მივა?

— არა, კატასტროფის საშიშროება არ არსებობს, რადგან ეს მოგვარებადი პრობლემაა, თან ვვარაუდობ, რომ 2014 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციები გაიზრდება. საერთოდ, 2014 წელი ეკონომიკისთვის უფრო საინტერესო იქნება! შეიძლება, სანუგეშო არაა, მაგრამ ეკონომიკის ვარდნა მხოლოდ საქართველოში კი არა, აზერბაიჯანის გარდა, თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც გარკვეულწილად, 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოძახილია.

სხვათა შორის, ეკონომიკურ ამნისტიაზე გაკეთებული განცხადებებიც აჩენს მოლოდინს, რომ მეწარმემ გადასახადების გადახდისგან თავი შეიკავოს, იქნებ ამნისტია შემეხოსო. ზოგადად, ამნისტია მისაღებია, მაგრამ უნდა დადგინდეს, ე.წ. ნაპატიები თანხა ბიზნესმენებს მოგებაში ხომ არ გადააქვთ... საერთოდ, ასეთი ამნისტიები გარკვეულ დიფერენციაციას იწვევს...

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

დავით კეზერაშვილისა და არჩილ კბილაშვილის ფარული კავშირები

გიორგი გიორგაძე

„27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება!“ — ეს განცხადება საქართველოს აწუკვე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანიისას გააკეთა და ნაციონალებისგან დატანჯულმა ხალხმაც ამოისუნთქა — ათასობით ადამიანმა, ვისაც სააკაშვილის რეჟიმი მხოლოდ ფიზიკურ-მორალურად კი არ გაუსწორდა, არამედ ქონებაც წაართვა, ჩათვალა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებოდა, მაგრამ ქართული ანდაზაა — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...



ჰოდა, ნაციონალებიც იცინიან — საქართველოს ხელისუფლებამ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექნაზე უარი განაცხადა. არადა, თავის დროზე ანუ მაშინ, როცა ოპოზიციაში იყო და სააკაშვილს ებრძოდა, კოალიცია „ქართული ოცნება“ მოსახლეობას პირდებოდა, როგორც კი ხელისუფლებას გადავიბარებ, სამართლიანობის აღდგენას დავიწყებო...

რატომ ჭიანურდება სამართლიანობის აღდგენა? — ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, კულუარებში კი, ამ თემის ირგვლივ ათასი ვერსია არსებობს. ასე, მაგალითად, ამბობენ, გარკვეულ „ოცნებელებს“ ყბადაღებული კოჰაბიტაცია ისე მოეწონათ, რომ ნაციონალებთან ბიზნესგარიგებაშიც კი შევიდნენო. ეშმაკმა უწყის, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ ფაქტია: ძველი პროკურორები თუ გამომძიებლები, რომელთაც უამრავი ადამიანი წამებაში, ფსიქოლოგიურ ზეწოლასა თუ ქონების გამოძალვაში ამხელს, თანამდებობას კვლავ ინარჩუნებენ; მეტიც — ზოგიერთი მხილებული ძალოვანი „ოცნებამ“ დააწინაურა კიდეც. ამის თვალსაჩინო მაგალითი კოტე (კონსტანტინე) ყიფიანია, რომელიც ნაციონალების „გულაობის“ დროს ჯერ, თურმე, ფინანსურ პოლიციაში მუშაობდა, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროში.

კულუარებში მოარული ხმით, 34 წლის ყიფიანი, არც მეტი, არც ნაკლები, დავით კეზერაშვილის მარჯვენა ხელი ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ „კეზერა“ (ნაციონალი და-ძმები თავდაცვის მინისტრყოფილს შინაურულად სწორედ ასე ეძახიან) „არასასურველ“ ბიზნესმენებს სწორედ კოტე (კონსტანტინე) ყიფიანის დახმარებით ატერორებდა და აკოტრებდა.

„ფინანსურ პოლიციაში, კოტე ყიფიანის კაბინეტში შემიყვანეს... ამ ახალგაზრდა კაცმა ჯერ ბიუჯეტში კოლოსალური თანხის გადახდა შემომთავაზა, მაგრამ რომ ვერ დამიყოლია, მერე მითხრა, თუ ვინმეს „ჩაუშვებ“, თავსაც გადაირჩენ და ოჯახსაც გადაარჩენო, მაგრამ ვინმეს „ჩაშვებას“ და უსამართლოდ გაუბედურებას, ციხეში წასვლა ვამჯობინე“, — აღნიშნა „ვერსიასთან“ პრივატული საუბრისას ერთ-ერთმა დატერორებულმა ბიზნესმენმა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, იმდროინდელი ნაციონალური პრაქტიკის მიხედვით, საკუთარი ქონება სახელმწიფოს თითქოს ნებაყოფლობით „აჩუქა“...

„კეზერასა“ და ყიფიანის მიერ დაპატიმრებული ბიზნესმენები, თავი რომ გადაერჩინათ, შუამავლის ძებნას თურმე ზურაბ ადეიშვილთან ცდილობდნენ. მართალია, ადეიშვილი სააკაშვილის რეჟიმის მთავარ იდეოლოგად მიიჩნეოდა, მაგრამ „ადე“ (ეს ადეიშვილის ნაციონალური თიკუნია) ყველა შუამავალს, როგორც ამბობენ, ერთი და იგივე პასუხით ისტუმრებდა — ეგ „კეზერას“ სფეროა და არ ჩავერევიო...

ისე, დატერორებულ ბიზნესმენებს ილუზია არ აქვთ, რომ კეზერაშვილ-ყიფიანის ტანდემი დამოუკიდებლად მოქმედებდა ანუ ქონებაწართმეულთა გონივრული ეჭვით, კეზერაშვილ-ყიფიანსა და მათ სხვა ამფსონებს მწვანე შუქი სააკაშვილისგან ჰქონდათ ანთებული...

როგორ გახდა კოტე (კონსტანტინე) ყიფიანი დავით კეზერაშვილის მარჯვენა ხელი? — ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს ვერსია, რომ პოსტნაციონალური საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის რეკომენდაციით დაინიშნა. ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს და აი, რატომ:

ყიფიანმა, რომელიც ფინანსური პოლიციიდან თავდაცვის სამინისტროში გადასულმა კეზერაშვილმა თან წაიყვანა, 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის ანუ მას შემდეგ, რაც „კეზერამ“ თავდაცვის მინისტრის პოსტი დატოვა, კარიერა თურმე კერძო სექტორში გააგრძელა. ეს „კერძო სექტორი“ კი, შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ როგორც ამბობენ, არჩილ კბილაშვილის საადვოკატო ბიურო იყო.

ესე იგი, რა გამოდის? — არჩილ კბილაშვილმა, რომელიც იმხანად, უკვე ცნობილი ადვოკატი გახლდათ და, ალბათ, ბევრ კულუარულ ინფორმაციასაც ფლობდა, ყიფიანის კეზერაშვილისეული წარსულის შესახებ ან არაფერი იცოდა, ან იცოდა და თვალი დახუჭა?! თუ „თვალის დახუჭვის“ ვერსიას დავეყრდნობით, გამოდის, კბილაშვილს „თვალის გახელა“ მთავარი პროკურორობის დროსაც არ უცდია. ყოველ შემთხვევაში, თვითმხილველთა თქმით, კბილაშვილის პროკურორობისას ყიფიანს მთავარ პროკურატურაში ხშირად ხედავდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც მთავარი პროკურორის პოსტის დატოვება გადაწყვიტა, არჩილ კბილაშვილმა, როგორც ამბობენ, კოტე ყიფიანს რეკომენდაცია თავდაცვის მინისტრთან გაუწია...

ძნელი სათქმელია, ყიფიანის „ოცნებურ კარიერაში“ კბილაშვილის ხელი მართლა ურევია თუ არა, მაგრამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე „შავით თეთრზე“ წერია, რომ სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კონსტანტინე ყიფიანია.

ამასთან, ქონებაწართმეული ბიზნესმენები ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროს კოტე ყიფიანში დავით კეზერაშვილის მარჯვენა ხელი კოტე ყიფიანი ანუ ის ადამიანი ამოიცნეს, რომლის ზეწოლითაც საკუთარი ქონება სახელმწიფოს „ნებაყოფლობით“ აჩუქეს...

ერთი სიტყვით, „ოცნებაში“ ნაციონალთა პორტირება გრძელდება. ქონებაწართმეული ბიზნესმენები, რომელთაც სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, პროკურატურაში განცხადებები რამდენიმე თვის წინ, არჩილ კბილაშვილის მთავარი პროკურორობის დროს შეიტანეს, იმედოვნებენ, რომ კბილაშვილის შემცვლელი ოთარ ფარცხალაძე „ოცნებაში“ პორტირებულ ისეთ ნაციონალთა საქმიანობით დაინტერესდება, როგორიც მაგალითად კონსტანტინე ყიფიანია და მხოლოდ მათ „საგმირო საქმეებს“ კი არ გამოააშკარავებს, არამედ პასუხს მათაც მოსთხოვს, ვინც ბიზნესმენთა დატერორებაში ეჭვმიტანილებს დღემდე არათუ მფარველობს, არამედ, დაწინაურებაშიც ეხმარება...

სწავლა სამსახურის პარალელურად

MBA

სწავლა სამსახურის პარალელურად, მინიმალური ინვესტიცია — მაქსიმალური შედეგი + ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამა.

კინგსტონის უნივერსიტეტი (აშშ) აცხადებს სტუდენტთა მიღებას სამაგისტრო პროგრამებზე:

- MBA მარკეტინგის მენეჯმენტი
- MBA სასტუმრო ბიზნესი
- MBA ორგანიზაციათა მართვა
- MBA საერთაშორისო ბიზნესი
- MBA საინფორმაციო სისტემების მართვა
- MBA ჯანდაცვის მენეჯმენტი
- MBA ელექტრონული ბიზნესი
- MBA ჰორეკა მენეჯმენტი
- MBA ფინანსები
- MBA ბუღალტერია/გადასახადები
- MBA ეკონომიკა
- MBA არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა
- MBA მენეჯმენტი

ინგლისურ და რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამების უპირატესობები თქვენთვის და თქვენი კომპანიის თანამშრომლებისთვის:

- ისწავლოთ თქვენთვის მოსახერხებელ დროს;
- მიიღოთ თანამედროვე სტანდარტის კვალიფიკაცია;
- დაზოგოთ ფულადი სახსრები;
- აირჩიოთ მოდულების თანმიმდევრობა;
- აიღოთ ტაიმ-აუტი და განაგრძოთ სწავლა მოგვიანებით.

სწავლება ორწლიანია. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ერთჯერადი მოსაკრებელი შეადგენს 680 აშშ დოლარს; ხოლო მეორე წლის ბოლოს – 700 აშშ დოლარს.

რუსულ ენაზე სწავლის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით გაივლის ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს.

რეგისტრაციისთვის საჭიროა CV, ბაკალავრის დიპლომის ასლი და ფოტოსურათი დაარქივებულ ფორმატში. ელფოსტაზე: **danikaconsulting@yahoo.com**. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ არჩეული პროგრამის სახელწოდება. ტელ: 570700537; 593302555

ვერსიანიუსი

დავით ჩხატარაშვილს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

7 დეკემბერს, საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას პირველი მოადგილე დავით ჩხატარაშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. პროკურატურის წარმომადგენლის, დავით კვინიკაძის განცხადებით, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა და დავით ჩხატარაშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, რამდენიმე პატიმრის დამცირება დაგეგმეს და განახორციელეს კიდეც, რაც მიზნად საზოგადოებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას ისახავდა — თითქოს სახელმწიფოს საგამოძიებო სტრუქტურებმა პატიმრების ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები დროულად გამოავლინეს.

მთავარი პროკურორის ყოფილ პირველ მოადგილე დავით ჩხატარაშვილს ბრალად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმის ორგანიზება ედება. გამოძიებამ დაადგინა, რომ 2012 წლის სექტემბერში ზურაბ ადეიშვილმა და დავით ჩხატარაშვილმა შეიტყვეს, რომ სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში პატიმრების ცემისა და წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა არსებობდა, ამიტომ სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რამდენიმე პატიმრის დამცირება დაგეგმეს. საქმეში მონაწილე სხვა პირების დასადგენად გამოძიება გრძელდება.

დავით ჩხატარაშვილის დაკავების ფაქტს ექსპერტი გია ხუხაშვილი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დაკავება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრემიერის მრჩეველი გია ხუხაშვილი დავით ჩხატარაშვილთან მეგობრობდა და მასთან საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდა. ყოფილ მაღალჩინოსანს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კოალიციასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდნენ და ხუხაშვილთან დაახლოებულ პირად მოიხსენიებდნენ. საპარლამენტო უმცირესობა ამტკიცებდა, რომ დავით ჩხატარაშვილის დაკავება ამ დრომდე სწორედ აღნიშნული გარემოებების გამო არ ხდებოდა. თავად ხუხაშვილი ჩხატარაშვილთან მეგობრობის ფაქტს სიცრუეს უწოდებს, თუმცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მასთან რამდენჯერმე შეხვედრას ადასტურებს: **„პროკურატურაში დავით ჩხატარაშვილის საქმეზე დიდი ხანია მუშაობა მიმდინარეობს, შესაბამისად, ეს ფაქტი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. დავით ჩხატარაშვილი დანაშაულებრივი სისტემის მონაწილე იყო და მისი როლის შესახებ ყველამ იცოდა. დიახ, მასთან კომუნიკაცია მართლაც მქონდა, თუმცა მხოლოდ იმ მიზეზით ვხდებოდი, რომ ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი სისტემის მუშაობის ალგორითმი გამეგო. მსგავსი შეხვედრები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ერთი-ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა. სამწუხაროდ, მისგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მივიღე, მაგრამ ჩხატარაშვილმა საინტერესო რაღაცებიც გამიმხილა. დავით ჩხატარაშვილი სისტემის დამკვეთი არ ყოფილა, ის რეჟიმის კარგი, ინტელექტუალური მსახური იყო. ამ შემთხვევების გარდა, მასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია“.**

ამასთან, ხუხაშვილის თქმით, არ აქვს ინფორმაცია, თანამშრომლობდა თუ არა ჩხატარაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთან.

P.S. დავით ჩხატარაშვილს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. წინასასამართლო სხდომა 2014 წლის 27 იანვარს გაიმართება.

რუსუდან შელია

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

ᲬᲐᲕᲙᲘᲡᲔᲚᲘ „ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲔᲑᲘ“

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ „ᲛᲔᲓᲒᲠᲣᲞ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ — ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲠᲑᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ?!

საინვესტიციო კომპანია შპს „მედგრუპ ჯორჯია“ დაბა წავკისში გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას გეგმავს. ეს კომპლექსი სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენისა და ცნობილი ექიმის, თამაზ მჭედლიძის საინვესტიციო პროექტია. შპს „მედგრუპ ჯორჯიამ“ წავკისის პროექტში 5 000 000 აშშ დოლარი უკვე დახარჯა და კიდევ 30 000 000-მდე დოლარის დახარჯვას აპირებს. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის საერთაშორისო პროექტს, რომელმაც ხელი საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას უნდა შეუწყოს, ადგილობრივი ჩინოვნიკები — გარდაბნის რაიონის ყოფილი გამგებელი, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი და მისი გარემოცვა ეწინააღმდეგება. რატომ უპირისპირდებიან წავკისელ „ფეოდალებად“ მონათლული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ახლა უკვე საქართველოს პარლამენტის დეპუტატი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი წავკისის პროექტს და, საერთოდ, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“? მფარველობენ თუ არა შსს-სა და ყოფილი კუდ-ის მაღალჩინოსნები დეპუტატს? — ყველაფერ ამის გასარკვევად, „ვერსიამ“ დაპირისპირებულ მხარეებს მიმართა.

თავდაპირველად, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, **ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვესაუბრეთ, რომლის თქმითაც, დაბა წავკისის გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას საქართველოს პარლამენტის წევრი, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი და მისი გარემოცვა უპირისპირდება. მირიან ამირანაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ თემურ ფეიქრიშვილს ზურგს შსს-ს მაღალჩინოსნები უმაგრებენ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ, ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢ �თᲔᲛᲣᲠ ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐ?

— ფეიქრიშვილი წავკისში, ამ პროექტის მიმდებარედ, უძრავ ქონებას — დიდი რაოდენობის მიწებს ფლობს, რაც სხვადასხვა ადამიანზე აქვს გაფორმებული. ეს მაშინ გამოიკვეთა, როდესაც ერთ-ერთ გლეხთან მივედი და მიწის გადაცვლა შევთავაზე. მან მითხრა, ეს ჩემი მიწა არაა და ჯერ თემურ ფეიქრიშვილთან უნდა შევათანხმოო. არადა, ეს გლეხი, მალხაზ გვარაძე, გამაჯანსაღებელი კომპლექსის მომიჯნავე მიწის ნაკვეთს ფლობს. რეესტრში გვარაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკუთრების მოწმობა რომ ვნახე, სახელი შეცვლილი იყო — მალხაზის ნაცვლად, მამუკა ეწერა. ვფიქრობ, ეს დოკუმენტი თემურ ფეიქრიშვილის ინიციატივით, შეგნებულად გაყალბდა, რადგან მალხაზ გვარაძე ჩემთან გარიგებაში მის გარეშე არ შემოსულიყო... მივხვდი, თემურ ფეიქრიშვილი წავკისში ყველაფერს სოფლის კი არა, სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე აკონტროლებდა, ამიტომაც თამაზ მჭედლიძემ მითხრა, ჩვენი კუთვნილი მიწები გაყიდე და გამაჯანსაღებელი კომპლექსის ასაშენებლად სხვა ადგილი მოძებნეო. „მთვარის მოტაცებიდან“ თარაშ ემხვარის სიტყვები ხომ გახსოვთ, მე იმ გვარისა ვარ, უკან დახევა რომ არ სჩვევიათო... ჰოდა, უკან არ დავიხიე, შევეცადე, ყველაფერი ბოლომდე გამერკვია და მთავრობასთან მივედი.

— ეს როდის მოხდა?

— 2011 წელს, თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში მივედი და ეს პროექტი რუკის სახით წარვადგინე — ვაჩვენე, რა ტერიტორიებს მოიცავდა გამაჯანსაღებელი ცენტრი და ისიც აღვნიშნე, რომ ამ ტერიტორიაში კერძო ნაკვეთებიც შედიოდა. თბილისის მერიაში განმიცხადეს, კერძო მესაკუთრეებთან ურთიერთობა იურიდიულად უნდა დაალაგო და ნოტარულად დამოწმებული ხელშეკრულებები გააფორმოო. ავუხსენი, რომ წავკისის მიწებს გარკვეული ოჯახური კლანი განკარგავდა... თბილისის მერიამ, როგორც ჩანს, სამთავრობო სტრუქტურებში დასვა საკითხი, კარგი პროექტი იწყება, რომელსაც ხელს ფეიქრიშვილი უშლისო. არ ვიცი, როგორ გაჟონა ინფორმაციამ, ვინ მიიღო დავალება, მაგრამ ამის შემდეგ, საჯარო რეესტრში ამონაწერები გაასწორეს და წავკისელებს მიწის ნაკვეთები გავუცვალეთ. თემურ ფეიქრიშვილმაც ის მიწები გაგვიცვალა, რაც მის სახელზე იყო გაფორმებული, მაგრამ მიწის ერთ-ერთი ნაკვეთი, რომელსაც მისი მძახალი ჯაფიაშვილი ფლობს და რომელიც კომპლექსამდე მისასვლელ გზას ემიჯნება, პრობლემად იქცა. ჯაფიაშვილმა მიწის ნაკვეთის გაცვლა გადაიფიქრა და ფულის გამოძალვა გადაწყვიტა.

დაბა წავკისში 24 ჰექტარი მიწის ნაკვეთი 1 250 000 ლარად შევიძინეთ, თბილისის მერიამ ვალდებულება დაგვაკისრა — 2014 წლის ბოლომდე, მინიმუმ, 3 600 000 აშშ დოლარის დახარჯვით, საერთაშორისო დონის გამაჯანსაღებელი კომპლექსი უნდა დავასრულოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 360 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტიასა და მიწას ჩამოგვართმევენ. კონტრაქტით დაგვეკისრა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წავკისის ტყისთვისაც მოგვევლო და გვეპატრონა — ფანჩატურები და ბილიკები მოვაწყვეთ, წყაროებიც დავასუფთავეთ, მაგრამ ფანჩატურები დაგვინგრიეს. დავოსის მერი და თამაზ მჭედლიძე მეგობრობენ და ერთმანეთს ხშირად სტუმრობენ. მაგალითად, დავოსის ტყეში ხის პატარა ქოხებია და იგივეს გაკეთება წავკისშიც გვინდოდა. დავოსიდან ჩამოტანილი ხეები წავკისის ტყეში დავრგეთ, აბრა დავამაგრეთ, რომ წავკისის ტყე დავოსის ტყეს დაუმეგობრდა. აბრა დახიეს, თამაზის სურათი ამოჭრეს და სახრჩობელა გააკეთეს. ამის შემდეგ, შს მინისტრის იმდროინდელ მოადგილეს, გელა ხვედელიძესაც შევხვდი, რომელმაც საქმე „გამირჩია“, იქნებ, შენ არ ხარ მართალიო. როგორც ჩანს, ხვედელიძე ფეიქრიშვილს მფარველობდა. თემურ ფეიქრიშვილის მითითებით, პოლიცია ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდა.

> **პარლამენტის თავმჯდომარე, ეკონომიკის მინისტრი, ბიზნესომბუდსმენი, ბატონი პრემიერ-მინისტრი, ყველა მხარში გვიდგას, რასაც ფეიქრიშვილი და მისი გარემოცვა ვერ ეგუება. ცუდ ფონს გვიქმნიდნენ, თამაზ მჭედლიძის წინააღმდეგ „შავი პიარიც“ ააგორეს, სასულიერო პირებიც ჩართეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ, სოფლები აეჯანყებინათ. ბიძაჩემი სასულიერო პირია, დაურეკეს და პირდაპირ უთხრეს, რომ პროექტს ჩამოვშორებოდი. თამაზ მჭედლიძეზე ამბობდნენ, საროსკიპოებს აშენებსო, არადა მისი კლინიკების ქსელი საუკეთესოა რუსეთში. ვეჭვობ, უშიშროებამ ზოგიერთი სასულიერო პირის სახელით, შეგნებულად გაავრცელა მრევლში ასეთი ინფორმაცია, რომ ჩვენს პროექტს დიდი რაოდენობის ხალხი დაპირისპირებოდა.**

სხვათა შორის, გლეხებს — მალხაზ და გულნარა გვარაძეებს, ჩვენს მიერ გადაცვლილი მიწები, წაართვეს. გულნარა და მალხაზ გვარაძეები სოციალურად დაუცველები არიან და მათ ვეხმარები. მალხაზ გვარაძეს, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია, თამაზ მჭედლიძის ინიციატივით, გულის შუნტირების ოპერაცია გავუკეთეთ. აქამდე მოუნათლავი იყო და მოვნათლე. მოკლედ, უყურადღებოდ არ ვტოვებთ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ, Ა�პᲘᲠᲔᲑᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ?

— აპირებს და დავიწყეთ კიდეც ვერტოდრომის მშენებლობის პროექტი. წავკისის გამაჯანსაღებელი კომპლექსი იქნება ცენტრი, საიდანაც ჩვენს ცენტრში მოსულ სტუმრებს, საქართველოს მასშტაბით, ვერტმფრენით გასვლით ტურებს შევთავაზებთ... ვერტოდრომისთვის მიწები 2007 წელს შევიძინეთ, ამ პროექტსაც მე ვხელმძღვანელობ, დავიწყეთ მშენებლობა, მაგრამ აქაც ხელი თემურ ფეიქრიშვილმა შეგვიშალა. დავაფუძნეთ კომპანია „ფლაი ველნესი“, რომელმაც უნდა ააშენოს ვერტოდრომი. კომპანია „ფლაი ველნესის“ დამფუძნებელი „სტიმორ ასოციაციაა“. პროექტის მშენებლობისას აღმოვაჩინეთ, რომ ვერტოდრომთან მისასვლელი გზა არ გვაქვს — გზის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთებს ერთი პიროვნება ფლობს, მაგრამ დოკუმენტები გააყალბეს და ფორმალურად, სხვადასხვა ადამიანზე გადააფორმა.

— ეს დოკუმენტები ახლა გააყალბეს თუ 2007 წელს?

— ოფიციალურ დოკუმენტებში ჩანს, რომ 2007 წელს გაყალბდა, მაგრამ ფეიქრიშვილის ჯგუფს არ გაუჭირდებოდა, მაშინდელი თარიღით ახლა გაეყალბებინა. როგორც კი კომპანიამ მიწა იყიდა, მიხვდნენ, რომ რაღაც ხდებოდა და გადაწყვიტეს, ჩვენთვის გზა დაეკეტათ. ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, ვერ მივდივართ ჩვენს ტერიტორიაზე, რომ გზა ავაშენოთ და პროექტი დავიწყოთ.

„ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲓᲐᲒᲘᲭᲔᲠᲝ“

„ვერსია“ სოციალურად დაუცველ, წავკისელ **ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲒᲕᲐᲠᲐᲫᲔᲡᲐᲪ** ესაუბრა.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ, ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲗ?

— ხელი რაზე მოვაწერე, არ დავინტერესებულვარ, კონტრაქტი არც კი წამიკითხავს. დილით, ადრე, სოფელ ტაბახმელაში, გამგეობაში წავედი. იქ ვნახე სოსო ქოროღლიშვილი და მისი მეუღლე. მითხრეს, შინდისში გავყოლოდი, მაგრამ უარი ვუთხარი. ჩემი სიძე ტაბახმელაში ცხოვრობს და მასთან გავჩერდი, მაგრამ იქაც მომაკითხეს და გაყოლა მთხოვეს. სოსო ქოროღლიშვილის მეუღლემ სადღაც დარეკა, ალბათ თემურ ფეიქრიშვილთან და არ ვიცი, რა უთხრა. ტელეფონი მომაწოდა, თემურმა მითხრა, წავყოლოდი და რასაც მეტყოდნენ, გამეკეთებინა, თორემ ორივეს დაგვიჭერდნენ. ამ სიტყვების შემდეგ დავთანხმდი და წავყევი.

— რა რაოდენობის თანხა უნდა მიგეღოთ?

— 40 000 ლარი და 60 000 აშშ დოლარი, ოღონდ კონტრაქტი ისეა გაფორმებული, თითქოს ეს თანხა უკვე აღებული მაქვს.

დასასრული მე-7 გვერდზე

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ 11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲜᲐᲗᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

საყოველთაო ნათლობის რიტუალი ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ჩატარდება. ნათლობის ბოლოს, პატრიარქი ტრადიციულად ნათლულებს დალოცავს.

უწმინდესი აჭარაში ივნისში იმყოფებოდა — ხულოსა და ბათუმში დიდი ნათლობა გამართა და 2000-ზე მეტი ადამიანი პატრიარქის ნათლული გახდა.

„ინტერპრესნიუსი“

ᲛᲔᲣᲤᲔ ᲘᲝᲐᲜᲔ: „ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲣᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ“



„დღესაც არიან ურწმუნოები, რომლებიც ებრძვიან ეკლესიას, მაგრამ უფლის ძალას და პატრიარქის ავტორიტეტს წინ ვერ აღუდგებიან“, — ბრძანა რუსთავის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) სამების ტაძარში საკვირაო ქადაგებისას.

მეუფე იოანემ მე-20 საუკუნეში ეკლესიისადმი მოვლენილი განსაცდელი გაიხსენა და აღნიშნა, რომ მაშინდელი რეჟიმის დევნის შედეგად, საქართველოში 2 ათასიდან მხოლოდ 50-მდე ეკლესია დარჩა.

„იმ პერიოდში ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე წერდა — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სულს ღაფავს და სადაც არის, დაასრულებს თავის ისტორიულ არსებობასო, თუმცა რამდენიმე წელიწადში უფალმა ინება მისი უწმინდესობის, ილია მეორის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება. მისი ლოცვა-კურთხევით გაძლიერდა ეკლესია, ხოლო უფლის ნებით ათეისტური რეჟიმი დაიშალა. ურწმუნოები დღესაც არიან და ებრძვიან ეკლესიას, მაგრამ ისინი წინ ვერ აღუდგებიან უფლის ნებასა და პატრიარქის ავტორიტეტს. უწმინდესის დაუღალავი შრომით მთელი ერი მოქცეულია. როდესაც უცხოელები გამოკითხვას ატარებენ და მოსახლეობას ეკითხებიან, ვის ენდობით ყველაზე მეტად, 90 პროცენტი პასუხობს, რომ პატრიარქს ენდობა. უფალმა განაგო მთელი ერის გადარჩენა ყოველგვარი ძალადობისა და ფინანსური სახსრების გარეშე და ამის მნახველნი ვამბობთ — დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“, — ბრძანა მეუფე იოანემ.

„ინტერპრესნიუსი“

თურქი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილს კუთვნილი თანხის მითვისებაში ადანაშაულებს

როგორ დაეპატრონა სააკაშვილის ბიძის, თემურ აღასანიას ამერიკელი მეზობელი ფოთის პორტს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თურქი ბიზნესმენი ომერ სარი ვანო ჩხარტიშვილს დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში ადანაშაულებს. ომერ სარის წარმომადგენლის, მამუკა კაკოშაძის განცხადებით, თურქმა ბიზნესმენმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას უკვე მიმართა. კაკოშაძის თქმით, გაურკვეველი მიზეზების გამო, გამოძიება დროში იწელება. „ვერსიას“ თურქი ბიზნესმენის ადვოკატი მამუკა კაკოშაძე ესაუბრა.

— 2003 წელს, ფოთის პორტის მესამე, მეოთხე და მეექვსე ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა. ტენდერში მონაწილეობა „პრომეტკო ჯორჯიამ“ და „ჯეესკომ“ მიიღეს, ომერ სარი კი ამ კომპანიებში 5%-5%-იან წილებს ფლობდა. კომპანიებმა ტენდერში გაიმარჯვეს და ტერმინალების მართვა დაიწყეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წელს, ბატონ ომერს აცნობეს, რომ ყველა პარტნიორს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი წილის ნახევარი უნდა დაეთმო და „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედზე“ გადაეფორმებინა, სანაცვლოდ კი, კომპანიას საიჯარო ვადასა და ტვირთბრუნვას გაუზრდიდნენ. ომერმა ეს წინადადება არ მიიღო, კომპანიის ქართველი და სხვა უცხოელი პარტნიორები კი დათანხმდნენ. მოგვიანებით, „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედმა“, წინასწარი შეთანხმებით დადგენილი პირობები დაარღვია და თავისი წილი 50-დან 66%-მდე გაზარდა. „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედი“ ბადრი პატარკაციშვილის კომპანია იყო. მისი გარდაცვალებიდან ერთ თვეში, 2008 წლის 10 მარტს, „კოპოლა“ ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ ჩაანაცვლა, რომელიც „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს“ ფინანსებს განკარგავდა. „სონატა ალიანს ჯორჯიას“ ჩხარტიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი ლევან ჯღარკავა მართავდა, რომელმაც კომპანიის კუთვნილი თანხა, 5 000 000 აშშ დოლარი, ფიქტიური კონტრაქტების საშუალებით, ანგარიშიდან მოხსნა და საქართველოდან გაიტანა. 2010 წელს, როდესაც ვანო ჩხარტიშვილს წინა ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბა, არაბულმა კომპანია „რაკიამ“, რომელიც იმ დროს ფოთის პორტს მართავდა, „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს“ კონტრაქტები ცალმხრივად შეუწყვიტა, ომერ სარი კი ბიზნესის გარეშე დატოვა.

— ბატონო მამუკა, „რაკიას“ ახლა საკმაოდ სერიოზული პრობლემა აქვს, მაგრამ თქვენ კონტრაქტი რა მიზეზით გაგიწყვიტათ?

— 2005 წელს, ფოთის პორტის მე-9 და მე-10 ტერმინალებზე ჩატარდა ტენდერი, ჩვენ უკვე ვფლობდით მე-3, მე-4 და მე-6 ტერმინალებს, სხვა კომპანიები — სხვა ტერმინალებს და ჯანსაღი, კონკურენტული გარემო იყო. ტენდერში მივიღეთ მონაწილეობა, სადაც ჩვენი წინადადება 4 200 000 აშშ დოლარი იყო. კომპანიამ, რომელიც ამ ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადეს, 1 505 000 აშშ დოლარის წინადადება წარადგინა, თუმცა გააკეთეს ჩანაწერი, რომ 64 000 დოლარით მეტს გადაიხდიდა და გამარჯვებულად გამოაცხადეს. პრაქტიკულად, მოგებული ტენდერი აგვაცალეს — საღამოს გავიმარჯვეთ, დილით კი დავმარცხდით. ამ ტენდერში იოსებ დოლიძის კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც ნიუ-იორკში მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას კარის მეზობელია. იოსებ დოლიძემ გადაწყვიტა, ფოთის პორტი მთლიანად ჩაეგდო ხელში და ამას მიაღწია კიდეც. ფოთის პორტის ყველა ტერმინალი სოსო დოლიძის მფლობელობაშია. მეტიც, მიხეილ სააკაშვილმა სოსო დოლიძეს, ყოველგვარი ტენდერის გარეშე, პორტთან ახლოს, ტერიტორიაც გადასცა.

— ფოთის პორტი „რაკიამ“ ამერიკულ კომპანია „მაერსკის“ მიყიდა და სოსო დოლიძე როგორ ფლობს?

— არაბებმა ამერიკულ „მაერსკის“ თავიანთი აქტივი მიყიდეს, რომელიც ერთიან ტერმინალშია და ფოთის პორტს მართავს. რეალურად, „მაერსკის“ მხოლოდ ორი ტერმინალი აქვს, ფოთის პორტში კი 15 ტერმინალია და დანარჩენს სოსო დოლიძე ფლობს. უნდა დავაზუსტო, რომ ფოთის პორტის ორ ტერმინალს, რომელიც ძირითადად, ნავთობპროდუქტების ტვირთებს ემსახურებოდა, კეზერაშვილი ფლობდა. როგორც იცით, კეზერაშვილმა ეს ტერმინალები დავით იაკობაშვილის სახელზე გადააფორმა. ჩვენ მშრალი ტვირთების ტერმინალს ვფლობდით, რომელიც ახლა სოსო დოლიძის საკუთრებაშია. მშრალ ტვირთებში შედის ხორბალი, შაქარი, ფქვილი, არმატურა და ასე შემდეგ. ზოგადად, მიღებული პრაქტიკაა, რომ პორტის ტერმინალები სხვადასხვა კომპანიის საკუთრებაში იყოს, რათა ტვირთები კონკურენტულ გარემოში გადაიზიდოს და მისაღები ტარიფებიც დადგინდეს. იმის გამო, რომ ტერმინალების დიდ ნაწილს სოსო დოლიძე ფლობს, კონკურენცია არ აწუხებს. ამიტომ ფოთის პორტში ორჯერ და სამჯერ უფრო მაღალი ტარიფებია, ვიდრე — სხვა ქვეყნების პორტებში.

— ამიტომაცაა ძვირი საქართველოში ხორბალი, შაქარი და ყველა ის პროდუქტი, რომელიც მშრალ ტვირთად მიიჩნევა?

— დიახ. რადგან ფოთის პორტის ტარიფები საკმაოდ ძვირია, სამწუხაროდ, ტვირთების რაოდენობაც კლებულობს. ფოთის პორტში მხოლოდ ის ტვირთი შემოდის, რომელსაც სხვა გზა არ აქვს, მაგალითად, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტვირთი. არადა, თავისუფლად შეიძლება, ფოთის პორტში ჩინეთისა და შუა აზიის ტვირთებიც შემოვიდეს. ახლა სომხეთს ირანში რკინიგზა გაჰყავს და ტვირთებსაც ირანის პორტებიდან მიიღებს. წარმოგიდგენიათ, სომხეთი მზადაა, ტვირთები ირანის პორტში მხოლოდ იმის გამო გადაამისამართოს, რომ ფოთის პორტში, რომელიც უფრო ახლოსაა, ტარიფი ძვირია.

— ისევ ჩხარტიშვილს და თქვენს კუთვნილ თანხას დავუბრუნდეთ, ბატონ ვანოს პირადად ესაუბრეთ?

— ვიდრე დიდ ბრიტანეთში წავიდოდა, შევხვდი და ვუთხარი, მოვილაპარაკოთ და დავას შევწყვეტთ-მეთქი. მის წარმომადგენლებსაც ორჯერ შევხვდი გერგეთის ქუჩაზე, მათ ოფისში. თითქოს მოლაპარაკებაც დავიწყეთ, მაგრამ მერე ყველა დაიკარგა. როგორც ჩანს, ეს კაცი ფულის გადახდას არ აპირებს.

წავკისელი „ფეოდალები“

მე-6 გვერდიდან

— თანხა არ მიგიღიათ?

— მობრძანდით და ნახეთ, სად ვცხოვრობ ან სად მძინავს. 60 000 აშშ დოლარი თუ მომცეს, ერთ კარადას ან ხის საწოლს ვერ ვიყიდდი? თუ გადამიხადეს, სად წავიღე ეს ფული? დღეს აც რკინის ზამბარებიან საწოლზე მძინავს და ერთი გადასაფარებელი მაქვს — გასარეცხად რომ იღებენ, ველოდები, როდის გაშრება, რომ დავიფარო.

ინტერვიუ „ფეოდალთან“

„ვერსია“ საქართველოს პარლამენტის წევრს, **თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილს** დაუკავშირდა, რომელიც მის მიმართ გამოთქმულ ყველა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

— ბატონო თემურ, გარდაბნის რაიონის გამგებელობისას თამაზ მჭედლიძეს მართლა დაემუქრეთ, რომ ოთხ სოფელს აუჯანყებდით?

— ეს მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, გარდაბნის რაიონის გამგებელი კი არა, საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. წავკისი თბილისის მერიას რომ შეუერთდა, მიწის რეფორმა მე ჩავატარე. სოფელმა კრება ჩაატარა და ხალხმა წავკისის ტყე შეინარჩუნა. აი, ამის შემდეგ მოხდა დანაშაული — მთლიანი ტყე ისე გაიყიდა, როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. რაც შეეხება ოთხი სოფლის შანტაჟსა და ხელის შეშლას, ყველაფერი მათი მოგონილია. თვითონ აშანტაჟებენ ხალხს და კარგადაც წაართვეს წავკისელებს მიწის ნაკვეთები. გარდაბნელებს საჩივარი აქვთ დაწერილი, მეც იმ სოფელში ვცხოვრობ და არ დავუშვებ, ტყე გაიჩეხოს, თორემ კარგი საქმის კეთებაში ხელს არავინ უშლის. ღმერთმა ქნას, უამრავი კარგი საქმე გააკეთონ.

— მირიან ამირანაშვილი ამბობს, რომ ტყეში ფანჩატურები და ბილიკები გააკეთეს, რაც მოსახლეობამ დაანგრია, რატომ?

— ნამდვილად არის ფანჩატურები, მაგრამ ამაზე არ გვაქვს პრეტენზია. ტყეში დიდი რაოდენობით ხე გაჩეხეს და ესაა პრობლემა. ფანჩატურები ჩაედგათ, ოღონდ ტყე არ გაეჩეხათ. კარგი საქმის წინააღმდეგები არ ვართ, მაგრამ ტყეს ნუ ჭრიან და ხალხს ნაკვეთებს ნუ ართმევენ.

— შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ წინააღმდეგ თქვენს ნათესავებთან — ქოროღლიშვილებსა და ჯაფიაშვილებთან ერთად მოქმედებთ?

— ჯაფიაშვილი ნამდვილად ჩემი მძახალია — ჩემი რძლის მამაა. ცდილობენ, მიწის ნაკვეთი წაართვან, მაგრამ თავის საკუთრებას არ თმობს. მისი საკუთრებაა და თუ ყაჩაღები არ არიან, რატომ ეძალავებიან, რატომ ართმევენ? ადრე აშინებდნენ, ამას გიზამთ, იმას გიზამთო და ართმევდნენ, მაგრამ ეს კაცი არ თმობს საკუთრებას.

— თქვენ და თქვენი ნათესავები წავკისელი „ფეოდალები“ ხართ და გარდაბნის რაიონის მიწების დიდ რაოდენობას ფლობთ?

— წავკისში დავიბადე და გავიზარდე, ფეოდალი როგორ ვარ? უკანონოდ არაფერს ვფლობ, ყველაფერი კანონიერად მაქვს. მე ვარ ფეოდალი თუ თამაზ მჭედლიძე და მირიან ამირანაშვილი, რომლებმაც ასეულობით ჰექტარი ტყე გაჩეხეს? მათ უნდა ჰქონდეთ მიწა და ჩვენ არა? რატომ? სამწუხაროდ, ცუდი ისაა, რომ რაც უნდა დამაბრალონ, პასუხს არ აგებენ. შეუძლიათ, უამრავი რამ დამაბრალონ და მერე ბოდიში მოიხადონ ან არ მოიხადონ და დაჯარიმდნენ. ისინი თაღლითები არიან.

— გელა ხვედელიძე, ასევე, უშიშროებისა და კუდ-ის თანამშრომლები გმფარველობდნენ?

— რა სისულელეა. რა მჭირს სამფარველო, მაგათნაირი ყაჩაღი ვარ? რატომ უნდა მიპატრონოს ვინმემ? ეგენი არიან ყაჩაღები, პატრონობა და მფარველობა მაგათ უნდათ. შეისწავლიან, როგორ ართმევდნენ ხალხს მიწებს, მოსახლეობა ყველაფერს იტყვის.

— ეკა ბესელია შეცდომაში რატომ შეიყვანეთ?

— ეკა ბესელიას საერთოდ არ გავსაუბრებივარ ამ თემასთან დაკავშირებით. მერე რა, რომ დეპუტატები ვართ, კარგად არც კი მიცნობს, მხოლოდ ვესალმებით.

— გვარაძეების სოციალურად დაუცველ ოჯახს მიწის ნაკვეთები მოტყუებით წაართვით?

— სისულელე და კიდევ ერთი ბრალდებაა. ვისი რა საქმეა, სოფელში ვინ ვის მიყიდის მიწას? ეტყობა, ფული სჭირდებოდათ და გაყიდეს, თორემ ვინმე რამეს უფულოდ აჩუქებს?

— ხელშეკრულება ხომ გააფორმეთ?

— დიახ, ჩემსა და გულნარა გვარაძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთი მართლა ვიყიდე.

— მერე, გულნარა გვარაძეს თანხა რატომ არ გადაუხადეთ?

— ისინი ამბობენ ასე, მაგრამ მუქთად ვინმე რამეს გაჩუქებთ? ეგენი არიან გამოძალვასა და წართმევას დაჩვეულები, თორემ მიცნობენ სოფლელები და კარგად იციან, ვარ თუ არა ამის გამკეთებელი.

— მალხაზ გვარაძემ მითხრა, ხელშეკრულებაზე ხელი ისე მომაწერინეს, არ ვიცოდი, შიგ რა ეწერაო...

— ტყუილი და სისულელეა. მალხაზ გვარაძეს ფულს ჩუქნიან და რასაც უნდათ, იმას ათქმევინებენ.

— მალხაზ გვარაძისთვის ტელეფონით გითქვამთ, რომ ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა.

— ტყუილია-მეთქი, ხომ გითხარით?

— ესე იგი, წავკისსა და გარდაბნის რაიონში მიწის ნაკვეთებს არ ფლობთ?

— არა, რა სისულელეა. აბა, ერთი მაგალითი მომიყვანონ, ვის რა წავართვი. ყაჩაღები თვითონ არიან. რეფორმით მიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც ხალხის საკუთრებაა, რეკრეაციულ ზონად აქვთ გაფორმებული. ტყე გაჩეხეს და არასასოფლო მიწაა, ამბობენ. ტყე არ არის რეკრეაციული ზონა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა რეკრეაციული? ჩემი და სოფლელების პოზიცია ასეთია: ტყე არ უნდა გაიჩეხოს და ხალხს საკუთრება არ უნდა წაართვან.

„პატრიარქის გარემოცვაში კაგებეს შეგზავნილები არიან!“

თამარ ჩხეიძე რესპუბლიკელებს რუსული დაკვეთის შესრულებაში ადანაშაულებს?!

ᲔᲓᲘᲢᲝᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

პატრიარქის განცხადების შემდეგ მმართველი გუნდი მზადაა, თვითმმართველობის კანონპროექტში ცვლილებები შეიტანოს — რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განცხადებით, მთავრობა პარლამენტს ბევრად დახვეწილ და მოდიფიცირებულ ვარიანტს შესთავაზებს. რატომ მიიჩნევს აღნიშნულ კანონპროექტს რუსული გეგმის ნაწილად და როგორ აფასებს ბოლო დროს სასულიერო პირების გააქტიურებას? — „ვერსია“ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡ ესაუბრა.

— ზოგადად, თვითმმართველობის პრინციპის წინააღმდეგი არ ვარ — ხალხს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, პრობლემები თავად გადაწყვიტოს და რაიონის მართვის საკითხებიც აკონტროლოს, მაგრამ მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს თვითმმართველობასთან კავშირი აბსოლუტურად არ აქვს. თვითმმართველობის კოდექსში მითითებულია, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების პოლიტიკურად დაყოფა უნდა განხორციელდეს, რაც ქვეყნისთვის დამანგრეველია. ისტორიული კუთხეებისთვის ავტონომიური ფუნქციების მინიჭება საქართველოს დასაშლელად ჩადებული ნაღმია, რაც შემთხვევითი პროცესი სულაც არაა — წლების განმავლობაში, რესპუბლიკური პარტია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს, მისი მიზანი კი საქართველოს ფედერალიზაცია და რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან იურიდიულად ჩამოშორებაა.

— ანუ ფიქრობთ, რომ რესპუბლიკური პარტია, რომელიც დეკლარირებულად დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალაა, რეალურად, რუსულ გეგმას ახორციელებს?

— დიახ, რესპუბლიკელები ვითომ დასავლური ორიენტაციის პარტიად მიიჩნევა, თუმცა თუ ბოლო წლების განმავლობაში, მათ საქმეებს, თუნდაც აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ისინი რუსულ დაკვეთას ასრულებენ. გაიხსენეთ რეგიონული ენების შესახებ კანონპროექტის მომზადებაც... მათ წლებია საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ აკვიატებული იდეა აწუხებთ, ცნობილია მათი განცხადებები კანონში სიტყვა „ოკუპაციის“ მითითებაზეც.

— მას შემდეგ, რაც პატრიარქმა განაცხადა, რომ თვითმმართველობის კოდექსის დამტკიცება საქართველოს დაშლას გამოიწვევს, დავით ნარმანიამ პირობა დადო, რომ კანონპროექტი დაიხვეწება...

— თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით პატრიარქის განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ინფორმაციით, რესპუბლიკელები რეგიონულ ავტონომიებთან დაკავშირებით რეფორმის შეცვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ, დანარჩენი პუნქტების შეცვლაზე კი თანახმა არიან. იმედი მაქვს, პატრიარქის განცხადებისა და საზოგადოებრივი მობილიზების ფონზე, ხელისუფლება იძულებული გახდება, თვითმმართველობის კოდექსის დამტკიცების საკითხი დროებით მაინც გადადოს.

— პატრიარქის განცხადებას თამარ კორძაია გამოეხმაურა — ხომ არ სჯობდა, პატრიარქისთვის ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცაო. ქალბატონო თამარ, პოლიტიკურ პროცესებში ეკლესიის ჩართვას გამართლებულად მიიჩნევთ?

— მსგავსი განცხადებები, უბრალოდ, აღმაშფოთებელია. რატომღაც ზოგი ფიქრობს, რომ პატრიარქს სიტყვის თქმის უფლება არ აქვს, თუმცა ჩემი აზრით, იგი ვალდებულია, ქვეყანაში მიმდინარე განსაკუთრებულ მოვლენებს, მათ შორის თვითმმართველობის კოდექსს, რომელსაც საქართველო დაშლისკენ მიყავს, გამოეხმაუროს. უშუალოდ სახელმწიფო საქმიანობასა და პოლიტიკურ პროცესებში, შესაძლოა, ეკლესია არ ჩაერიოს, მაგრამ აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს და გამონაკლისი არც პატრიარქია, მით უმეტეს, იგი ერის სულიერი მამაა.

— ირაკლი მელაშვილი დარწმუნებულია, რომ 120-გვერდიანი კანონპროექტი პატრიარქს წაკითხული არ აქვს...

— დაინტერესების შემთხვევაში, პატრიარქს ექნებოდა შესაძლებლობა, აღნიშნული პროექტი მოეთხოვა, თუმცა კოდექსი წაკითხული რომც არ ჰქონდეს, ცვლილებების მთავარი აზრი კუთხეების პოლიტიკური დაყოფაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთი, ჰერეთი, ქვემო ქართლი და ა.შ. ავტონომიურ თვისებებს შეიძენ და პოლიტიკური დატვირთვა ექნებათ! ფედერალიზაციის იდეა საქართველოში არ დაბადებულა. მის განხორციელებას თავის დროზე გრაჩოვი და რუსეთი მოითხოვდნენ. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, გეოპოლიტიკურ მდგომარეობის გათვალისწინებით, მსგავსი რეფორმის განხორციელების აუცილებლობა ნამდვილად არ დგას. კახელისგან, იმერლისგან ან მეგრელისგან არასოდეს მსმენია, რომ საკუთარ ქალაქში პარლამენტის ჩამოყალიბება უნდა. ვიმეორებ, ეს საქართველოს ფარგლებსგარედან შემოსული შეკვეთაა. ფსევდოლიბერალები პატრიარქს რატომღაც პრორუსულობას აბრალებენ, არადა კრიზისულ ვითარებაში, ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებს იცავს.

— ბოლო დროს, სასულიერო პირების გააქტიურება სხვა მიმართულებითაც შეინიშნება. მაგალითად, ხანუქის დღესასწაულზე პლაკატები ჩამოხიეს და ტრიბუნა დააზიანეს...

— როგორც ფსევდოლიბერალების მიერ წარმოებული ანტიეკლესიური ისტერიაა მიუღებელი, ასევე სხვა აღმსარებლობის მიმართ სამღვდელოების ბნელი ნაწილის მოქმედებები დაუშვებელია. მსგავსი მამაოები ეკლესიის სულისკვეთებასა და ქრისტიანობის არსს ეწინააღმდეგებიან. სხვათა შორის, ორივე ნაწილი — ფსევდოლიბერალები და ბნელი ფუნდამენტალისტები — ქართული ეკლესიის წინააღმდეგაა მიმართული; მეტიც — ორივე ძალა რუსეთიდან იმართება.

— თუკი ასეა, საპატრიარქო ბნელ ნაწილს რატომ არ ემიჯნება?

— საპატრიარქოში ყველაზე ნათელი წერტილი პატრიარქია, რომლის გარემოცვაშიც კაგებეს მიერ შეგზავნილი ადამიანები არიან და ამ მხრივ, ილია მეორე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია — მის გვერდით მდგომი პირები, მართლმადიდებლობის სახელით, სწორედ ეკლესიას ებრძვიან. სასწაულია, რომ ამ პირობებში პატრიარქი, რომელსაც ჯანმრთელობის მხრივაც პრობლემები აქვს, საღ აზრს ინარჩუნებს და საქართველოს ინტერესების დაცვაც შეუძლია. ეს მართლაც, სასწაულია.

„ვისოლ ჯგუფი“ 400-მდე სტუდენტს დაასაქმებს

კომპანიამ ახალგაზრდებისთვის დასაქმების ფორუმი მოაწყო

„ვისოლმა“ სიურპრიზი, ამჯერად, ახალგაზრდებს გაუკეთა — კომპანია უახლოეს მომავალში, დაახლოებით, 400 სტუდენტს დაასაქმებს. „ვისოლ ჯგუფის“ ინიციატივით, პირველად საქართველოში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასაქმების ფორუმი მოეწყო. ორი დღის განმავლობაში, კომპანიის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს ლექციები წაუკითხეს, გამოცდილებაც გაუზიარეს და აუხსნეს, რომ დასაქმების რეალური შანსის გარდა, მათ „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში სტაჟირებისა და კომპანიის დამფუძნებლებისგან მასტერკლასების მოსმენის საშუალებაც ექნებათ. დასაქმების მსურველთა რაოდენობა შთამბეჭდავი იყო — ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 2000-ზე მეტი სტუდენტი დარეგისტრირდა, რაც „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, **ᲡᲝᲡᲝ ᲨᲮᲐᲙᲐᲫᲘᲡ** თქმით, ძალიან სასიამოვნოა: **„კარგია, რომ ახალგაზრდებს დასაქმების სურვილი აქვთ და მათი სახით, ჩვენს ინიციატივას ამდენი მხარდამჭერი გამოუჩნდა. „ვისოლის“ განვითარების ტემპის პროპორციულად იზრდება მოთხოვნა პროფესიონალ კადრებზე. მოხარულები ვართ, რომ საშუალება გვაქვს, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების გამორჩეულ სტუდენტებს მივცეთ დასაქმების შესაძლებლობა „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში. „ვისოლის“ წარმატების ისტორიას თითოეული თანამშრომელი ქმნის. გვჯერა, წარჩინებულ სტუდენტებთან ერთად, უკეთეს მომავალს შევქმნით. დასაქმების ფორუმებს, სხვა ქვეყნებში, ძირითადად, უნივერსიტეტები აწყობენ. ეს ერთ-ერთი პირველი ფორუმია, რომელსაც ატარებს კერძო კომპანია. ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, ადამიანების დასაქმება კი „ვისოლის“ პრიორიტეტია“.**

დასაქმების ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა „ვისოლ ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲨᲮᲐᲙᲐᲫᲔᲛᲐᲪ.** მისი თქმით, „ვისოლის“ წარმომადგენლები ყველაფერს გააკეთებენ, რომ სტუდენტებს ცხოვრების გზის გაკვალვაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში — საქმიანობის არჩევაში, კარიერის დაწყება-განვითარებაში დაეხმარონ. „ვისოლ პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორის, ვასილ **ᲮᲝᲠᲐᲕᲐᲡ** თქმით კი, **„დასაქმების მსურველ სტუდენტთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კომპანია მათგან საკმაოდ ბევრს თავის რიგებში დაასაქმებს, რომლებიც იმედია, „ვისოლის“ საქმიანობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ“.**

„ვისოლ ჯგუფის“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დირექტორი **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ** განმარტავს, რომ: **Vendi's-ში, „ვისოლ პეტროლიუმში“, „ვიანორსა“ და „სმარტში“ გამოცხადებულ 25 სამუშაო პოზიციაზე კომპანია, სავარაუდოდ 300-400 ადამიანს დაასაქმებს. მომავალში, ქსელის გაფართოებას ვგეგმავთ და ამ ფონზე გადავწყვიტეთ სტუდენტებისთვის დასაქმების ფორუმის გამართვა. იმედია, მათგან საუკეთესო კადრების შერჩევას მოვახერხებთ. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში სტაჟირებას გაივლიან“.**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** იმედი აქვს, რომ კონკურსში გაიმარჯვებს: **„ინფორმაცია ფორუმის შესახებ, მეილზე მომივიდა. ვაკანსიებიდან „ვენდის“ სერვისის მენეჯერის პოზიცია ავირჩიე. ალბათ ყველა სტუდენტს უნდა, თავის შემოსავალი ჰქონდეს“.**

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ „ილიაუნიში“ სწავლობს. მომავალმა სოციოლოგმა, „ვენდი,ს“ სერვისის კონსულტანტის პოზიცია აირჩია: **„აქამდე ბევრჯერ ვცადე, მუშაობა დამეწყო, მაგრამ უშედეგოდ — ყველგან სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ. აქ კი, არჩეულ ვაკანსიაზე, ეს არაა სავალდებულო მოთხოვნა, რაც კარგია“.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა **ᲜᲘᲜᲝ ᲝᲓᲘᲙᲐᲫᲔᲛ** „ვისოლის“ ფორუმის შესახებ Facebook-ზე შეიტყო. გამოგვიტყდა, რომ Vendi's-ში მუშაობის დაწყება ყოველთვის უნდოდა: **„ადრე, ერთ-ერთ სასტუმროში სერვისის კონსულტანტად და გაყიდვების მენეჯერად ვმუშაობდი. მუდმივად ვეძებდი სტაბილურ სამუშაოს, მაგრამ ვერ ვნახე. ზაფხულობით საზღვარგარეთ მივდივარ, სტუდენტთა დასაქმების პროგრამით. „ვისოლის“ ეს შემოთავაზება დიდი მოტივაციაა, რაღაც გავაკეთო საქართველოში“.**

„სდასუს“ სტუდენტ **ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲯᲐᲧᲔᲚᲘᲫᲘᲡ** თქმით, „ვისოლის“ დასაქმების ფორუმი სტუდენტებისთვის მიმზიდველია: **„დასაქმება სტუდენტისთვის აუცილებელია — სწავლასთან ერთად გამოცდილებას შეიძენ. „სმარტში“ გაყიდვების კონსულტანტის თანამდებობა ავირჩიე. იმედია, გამიმართლებს“.**

კომპანიის უკეთ გასაცნობად, სტუდენტებს კლიპი უჩვენეს, სადაც ახსნილი იყო, რომ 5000-მდე თანამშრომლით, „ვისოლ ჯგუფი“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია, რომელიც ყველა თანამშრომელს თანაბრად აძლევს განვითარებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. სწორედ ამ მიზნით, კომპანიამ 2011 წელს ჩამოაყალიბა აკადემია, სადაც ჯგუფის ნებისმიერ თანამშრომელს აქვს საშუალება, აიმაღლოს კვალიფიკაცია. მეტი დამაჯერებლობისთვის, კლიპში, „ვისოლში“ უკვე დასაქმებული ადამიანები ყვებოდნენ, როგორ დაიწყეს მუშაობა კომპანიაში, როგორ გაიარეს გზა, მაგალითად, კონსულტანტობიდან ჯერ ადმინისტრატორობამდე, შემდეგ მენეჯერობამდე... მათი კარიერა განსხვავებული იყო, თუმცა ჰქონდათ საერთოც — ისინი „ვისოლში“ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ ოჯახში. კლიპის ნახვის შემდეგ, სამსახურის მაძიებელი სტუდენტები ამბობდნენ, რომ სურთ „ვისოლის“ დიდი ოჯახის წევრები გახდნენ.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ



1. შაჰის ცოლებისთვის გამოყოფილი სადგომი
2. ლამპის საფარველი
3. მკდარი წარმოსახვა
4. უკრაინის პარლამენტი
5. კათოლიკური წირვა
6. პირველი სამეცნიერო ხარისხი
7. დიდი ფიგურული შანდალი
8. ცხენების ჯოგი
9. მდინარე შიდა ქართლში
10. ბგერის გრაფიკული ნიშანი
11. შუადღის პურის ჭამა
12. ხელოვნურად გაშენებული ტყე
13.თბილისის ზღვის მკვებავი მდინარე
14. მთის წაწვეტებული მწვერვალი
15. ბოროტების ღვთაება სპარსულ მითოლოგიაში
16. სპორტული ცურვის ხერხი
17. ჯავშნიანი რეპტილია
18. დადებითად დამუხტული ელექტროდი
19.შვედეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
20. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
21. გემების სარემონტო ნაგებობა
22. ზმნის ერთ-ერთი ფორმა
23. ამერიკელი გამომგონებელი
24. ზოდიაქოს ნიშანი
25. მემამულის მოურავი ბატონყმურ რუსეთში
26. ჰოლივუდის მსახიობი
27. მსუბუქი თვლემა
28.მიმართვა სკანდინავიელი ქალბატონისადმი
29. მზის სისტემის პლანეტა
30. მსგავსი, ერთნაირი
31. სპორტის სახეობა
32. იტალიის ეროვნული გმირი
33. სკვითების მახვილი
34. რუსი პოეტი
35. საოპერო პარტია
36. ვაჟას მშობლიური სოფელი
37. რაჭის „დედაქალაქი“
38. ფოთლოვანი ბოსტნეული მცენარე
39. თეფშის მოძველებული სახელწოდება
40. აშშ-ის შტატი
41. შლამის თევზი
42. განყოფილების სათაური გაზეთში
43. იგივეა, რაც ბამბა
44. რაიმე საქმესთან დაკავშირებულ დოკუმ. ნაკრები
45.ქართველი პოეტი სევერიან ...
46. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
47. ცენტრალური მცველი ფეხბურთში
48. პიპინია ერისთავის ძაღლის სახელი
49.ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
50.გამოღრმავებული ადგილი კედელში
51. მუსიკალური გამის VI ნოტი
52. „ფისტაშკა“ - ქართულად
53. მემკვიდრეობის ფეოდალური წესი, როდესაც ქონება მთლიანად გადადის უფროსი ვაჟის ხელში
54.ადამიანის ბიოველი
55.საჭმელი სოკო
56. მთის თუთიყუში
57. ნახევრად ძვირფასი ქვა
58. დიონისეს აღმზრდელი
59. ბანგლადეშის დედაქალაქი
60. დაბალი ხე მოცისფრო ფოთლებით
61. მზის ამოსვლა, განთიადი
62.მარეთის რესპუბლიკის დედაქალაქი ...-ოლა
63. ევროპელი ებრაელების ენა
64. მდინარე ბერლინში
65. სმენის არმქონე
66.ბანქოს თაღლითი მოთამაშე
67. რუსი საბჭოთა კინორეჟისორი
68. ზევსის ფარი
69. ყაზახური ლიტერატურის კლასიკოსი ... კუნანბაევი
70. ქალის ვარცხნილობის ტიპი
71. ღორის ხორცის ჩიხირთმა
72. დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
73. ბიბლიური თასი
74. იტალიის ვალუტა ევროზე
75. დიდი ჩაქუჩი
76. დიდი ესპანელი ფერმწერი
77. ციხე, სადაც გრა-ფი მონტე-კრისტო იჯდა
78. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
79. ძვ. ქართული წონის ერთეული
80.პირისა-ხის ძაღლი
81.მუზეუმი პარიზში
82. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
83. „ბრილიანტის ხელის“ რეჟისორი
84. მთიანი მხარე სამხრეთ რუსეთში
85. მომღერალი ... ფიცჯერალდი
86. ხეესიბერი გოჩას ვაჟი
87. მაუგლის მეგობარი პითონი
88. ქოჩრიანი თუთიყუში

რეკორდი საშობაო განათებაში

„მწვანე კონტინენტზე“ მცხოვრებმა დევიდ რიჩარდსმა საშობაოდ სახლი ისე მორთა, რომ გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. ტრადიციული სადღესასწაულო განათებისთვის, ავსტრალიის დედაქალაქ კანბერას მცხოვრებმა, არც მეტი, არც ნაკლები — 501 165 ნათურა გამოიყენა, შედეგად კი მისი სახლი მაშინვე იქცა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად. ზღაპრული ილუმინაციის სანახავად, რიჩარდსების ეზოში უამრავი ხალხი შეიკრიბა, ხოლო რეკორდი ოფიციალურად დააფიქსირა გინესის წარმომადგენელმა. საშობაო ნათურების დაყენებაში ჯენინსა და დევიდს სამი შვილი, მეგობრები, მეზობლები და ნათესავები ეხმარებოდნენ, საერთო ძალისხმევით, სამუშაოს რამდენიმე კვირა დასჭირდა, ინსტალაციაზე რიჩარდსმა 2 291 დოლარი დახარჯა, ენერგეტიკულმა კომპანიამ კი ამ პროექტს მხარი დაუჭირა და ხარჯი საკუთარ თავზე აიღო.

ჰოროსკოპი
9 დეკემბერი

ვერძი — ინფორმაცია, რომელსაც მიიღებთ, თქვენთვის უმნიშვნელოვანესია — მასზე იქნება დამოკიდებული თქვენი კარიერა და ფინანსური კეთილდღეობა. ყურადღებით იყავით და ეცადეთ, მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგეპაროთ.

კურო — ინტუიცია არ გიღალატებთ, ცვლილებები, რომელიც პირად ცხოვრებას უკავშირდება, სასიკეთო იქნება. ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, არ არის გამორიცხული პერსპექტიული ახალი ნაცნობობა.

ტყუპები — შესაძლოა, უკმაყოფილო დარჩეთ კოლეგების საქციელით. მაგრამ ეს მხოლოდ თქვენი ემოციურობის შედეგი იქნება. შეეცადეთ, დაფიქრდეთ და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან.

კირჩხიბი — საქმეები მოვლენების მორევში ჩაგითრევთ. მოგიწევთ, დიდი დრო დაუთმოთ სამსახურს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ დასვენებაც აუცილებელია, რათა ენერგია შეინარჩუნოთ და განწყობა არ გაგიფუჭდეთ.

ლომი — მხოლოდ ფორტუნას ნუ დაეყრდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდებით. ენდეთ ჯანსაღ აზრსა და ინტუიციას. რაც მეტ ძალისხმევას გაიღებთ, წარმატების მით მეტი შანსი გექნებათ.

ქალწული — შესაფერისი პერიოდია ბიზნესის გაფართოებისა და საჭირო ადამიანებთან ურთიერთობების დალაგებისთვის. წარმატებული აღმოჩნდება ფინანსებსა და ოჯახთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა ბევრი რამ თქვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული.

სასწორი — მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები და ხელმძღვანელობა თქვენი სამოგზაო გეგმების მართებულობაში დაარწმუნოთ. კომპრომისი მხოლოდ დაგაზარალებთ — ეცადეთ, ბოლომდე დაიცვათ საკუთარი აზრი.

ღრიანცალი — პირად საქმეებს პროფესიული ინტერესი გადაწონის. ასეც უნდა მოიქცეთ — დასახული საქმიანი გეგმების რეალიზებისთვის შესაფერისი დღეა, არსებული პრობლემები კი უგვალოდ გაქრება.

მშვილდოსანი — კარგი იქნება, თუ ნათესავებსა და მეგობრებს მოინახულებთ. შექმნილი ვითარება თქვენგან ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში უშუალო ჩარევას მოითხოვს. შეეცადეთ სხვებს გაუგოთ და ნურც საკუთარი თავის მიმართ იქნებით ზედმეტად კრიტიკული.

თხის რქა — ინფორმაცია, რომელსაც დღის მეორე ნახევარში მიიღებთ, დაგეხმარებათ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ ცხოვრება. მთავარია, მოვლენების განვითარებას ნელ-ნელა მიუვეთ და ნაკლები ემოციურობა გამოამჟღავნოთ.

მერწყული — შესაძლოა, თქვენი „კეთილისმსურველები“ გააქტიურდნენ და შეეცადონ, ხელი შეგიშალონ დასახული მიზნების განხორციელებაში. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც მოახერხებთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

თევზები — იყავით კეთილგონიერი და ობიექტურად შეაფასეთ საკუთარი შესაძლებლობები. გაითვალისწინეთ, რომ დახმარებისა და რჩევის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევთ.

ამერიკელი ადამიანი ამერიკელ

აშშ-ს აიდაჰოს შტატში, პატარა ქალაქ ალბიონის მერი მონეტის აგდებით აირჩიეს. საქმე ის გახლავთ, რომ 120 ამომრჩევლის აზრი ორ კანდიდატს — დონ ბოუდენსა და ჯონ დევისს შორის თანაბრად გაიყო და ასეთ შემთხვევებში შტატის კანონი მონეტის აგდებას ითვალისწინებს. შედეგად გაიმარჯვა მოქმედმა მერმა, დენ ბოუდენმა. კმაყოფილი ვარ იმით, რაც მოხდა — ამას ისტორიულ მომენტად მივიჩნევ. არ ვიცი, ადრე რამდენჯერ მოხდა მსგავსი რამ, მაგრამ ეს ძალიან საინტერესო შემთხვევაა, — ამბობს ბოუდენი. ვერცხლის დოლარი, რომელმაც ქალაქის ახალი მერი გამოავლინა, ალბიონის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლებს საზეიმოდ გადაეცათ.

უმუშევრობა ანერეგს

ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმუშევარი მამაკაცები უფრო სწრაფად ბერდებიან, ვიდრე დასაქმებულები, ხოლო თუ უმუშევრობა ორ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება, ორგანიზმის დაბერების ტემპი იმატებს. სწავლულებმა 5 ათასზე მეტი მამაკაცისა და ქალის დნმ-ის ნიმუშები გამოიკვლიეს და გაარკვიეს, რომ მათ, ვინც წელიწადზე მეტ ხანს უმუშევარი იყო, საკმაოდ მოკლე ტელომერები ჰქონდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი კანონზომიერება სუსტი სქესის წარმომადგენლებში არ დაფიქსირებულა. ტელომერები ქრომოსომების დაბოლოებაზე არსებული მცირე ნაწილებია, რომელთა სიგრძეც ორგანიზმის დაბერების შესაბამისად მოკლდება.

ადსარებას ტაქსში იბარებს

ნიუ-იორკის მცხოვრებლებს ამიერიდან შეუძლიათ ცოდვების მოსანანიებლად ეკლესიაში აღარ იარონ — ამისთვის საკმარისია ტაქსი გამოიძახონ, რომელსაც პასტორი ჯოზეფ ჯენი მართავს. ევანგელისტური ეკლესიის 52 წლის მღვდელი საკუთარ ტრანსპორტს „ბორბლებიან ეკლესიას“ უწოდებს და ეს საშუალებას აძლევს, უამრავ ადამიანს შეხვდეს, ესაუბროს, დაეხმაროს... როცა მგზავრები იგებენ, რომ ტაქსის პასტორი მართავს, მასთან გულითად საუბარს აბამენ. ყოფილა შემთხვევები, მღვდელი მათ რთული ვითარებიდან გამოსავლის პოვნაში დახმარებია. იგი საკუთარ შეხედულებებს არავის ახვევს თავს და ხალხს ისე ეხმარება, როგორც შეუძლია.

საფლავის ქვა სიგნალიზაციას დაუყენეს

სამხრეთ აფრიკის უდიდესი ქალაქის, იოჰანესბურგის ხელისუფლებას განზრახული აქვს, სასაფლაოებზე ქვებს სიგნალიზაცია დაუყენოს, რათა ქურდობა აღკვეთონ. ადგილობრივი პრესის ცნობით, პირველი ასეთი მოწყობილობა გაისად დამონტაჟდება. კომპანია Memorial Alert საფლავის პატრონებთან ხელშეკრულებას გააფორმებს სიგნალიზაციის დაყენებაზე. ფირმის დირექტორის განცხადებით, როგორც კი ვინმე ქვას, ქანდაკებას ან ლარნაკს შეეხება, ჩამონტაჟებული გადამცემი ამოქმედდება და საფლავის პატრონებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას გაუგზავნის. გადამცემის წყალობით ადვილად დადგინდება მოპარული საგნის ადგილმდებარეობაც. იოჰანესბურგში სულ 36 საქალაქო სასაფლაოა და ბოლო ორ კვირაში 20 საფლავის ქვა მაინც მოიპარეს.

ჰოროსკოპი
10 დეკემბერი

ვერძი — დღე საკმაოდ სასიკეთოა, განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. კაშკაშა ეპიზოდების მოლოდინი ნუ გექნებათ, სამაგიეროდ, სტაბილურობის ტენდენცია გაჩნდება. ახლობელი ადამიანის რწმენა დაგიბრუნდებათ და მისი ქმედებებიც საეჭვოდ აღარ მოგეჩვენებათ.

კურო — სრულ ჰარმონიაში იქნებით საკუთარ თავსა და გარშემომყოფებთან. კარგი იქნება, დღე ოჯახთან, მშვიდ გარემოში გაატაროთ, საყიდლები და მოგზაურობა კი უკეთესი დროისთვის გადადეთ.

ტყუპები — კარგი დღეა რომანტიკული ურთიერთობისთვის. ძალების მოზღვავებას, შემოქმედებით ენერგიას იგრძნობთ და სურვილი გაგიჩნდებათ, მნიშვნელოვნად შეცვალოთ საკუთარი ცხოვრება.

კირჩხიბი — იყავით გაბედული და არც ერთი წინააღმდეგობის წინაშე არ დაიხიოთ უკან. კარგად დაფიქრდით შემოთავაზებულ წინადადებაზე და გაანალიზეთ, რამდენად ხართ მზად მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის.

ლომი — დღის ენერგეტიკა საკუთარი ნიჭის გამოვლენაში დაგეხმარებათ. შესანიშნავი პერიოდია ახალი ურთიერთობების ან ახალი საქმის დასაწყებად.

ქალწული — დღე სასიკეთოა ახალი კონტაქტების დასამყარებლად, პარტნიორული ურთიერთობისთვის. შეგიძლიათ ენდოთ ადამიანებს, გაანდოთ გეგმები და ითანამშრომლოთ მათთან.

სასწორი — არ დირს, საკუთარი მოვალეობა სხვებს გადააბაროთ — წამოწყებულ საქმეზე პასუხისმგებლობა მხოლოდ თქვენ გეკისრებათ. მართალია, თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ, მაგრამ შედეგით უდავოდ კმაყოფილი დარჩებით.

ღრიანცალი — შესაძლოა ახალი იდეები დაგებადოთ — დღეს ემოციები ჯანის საღ აზრს, რაც მოქმედებისკენ გიბიძგებთ, ამიტომ აჯობებს, დაფიქრდეთ და ყოველი ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონოთ.

მშვილდოსანი — იმპულსური ხართ და ამის გამო შესაძლოა მოვლენები თქვენივე საზიანოდ შემოაბრუნოთ. იყავით უფრო ყურადღებიანი და ნაკლებად გაკრიტიკეთ გარშემომყოფები.

თხის რქა — თუ გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმისგან თავს ვერ შეიკავებთ, მატერიალურად დაზარალდებით. ეცადეთ, გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს — ასე მოსალოდნელ კონფლიქტს ადვილად აიცილებთ თავიდან.

მერწყული — ახლა მაღალ მატერიებზე ფიქრის დრო არ არის. თქვენი სამქიანობა მხოლოდ ერთი მიზნისკენ მიმართეთ — როგორ გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა, გარშემომყოფებთან ურთიერთობები კი თავისთავად დალაგდება.

თევზები — ვარსკვლავები გირჩევენ, ფული საკუთარი ბიზნესის განვითარებაში დაბანდოთ. დღე უამრავ სიურპრიზს გპირდებათ, დიდია ალბათობა, საჭირო კავშირები დამყაროთ.

სუდოკუ ფასიანი

ადვილი

			5		1			
		9		8			3	
		5				1	6	
		8			5			1
2				9				7
6			7			4		
	6	3				9		
	4			5		7		
			9		3			

სტანდარტი

	8	9		3		5		
7					1		9	
6						3		
	3		6					
	1	7		9		8	6	
					8		4	
		8						2
	7		1					6
		6		5		1	7	

რთული

		9	5					
8	2			3			1	
	4			8				
	1						7	5
			3		1			
4	6						2	
				2			9	
	8			1			5	4
					9	3		

ექსპერტი

	5			4	1			
6							1	
	9	7	3		6	2		
					5			
		3	1		8	7		
			6					
		5	2		7	1	4	
	6							2
			9	1			8	

პიტისა და ჯოლის ღვინო საუკეთესოდ აღიარეს

ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის ვარსკვლავურ წყვილს წარმატებული დებიუტი ჰქონდა მეღვინეობაშიც. ვარდისფერი ღვინო Jolie-Pitt & Perrin Cotes de Provence Rose Miraval, რომელიც მათ შატო მირავალის მეურნეობაშია დამზადებული, ამ კატეგორიის ღვინოებს შორის მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მსახიობების ღვინოს „უნაკლო გემო აქვს“. აღსანიშნავია, რომ შატო მირავალის მამული მეღვინეობის ტრადიციებით გამორჩეულია. თავის დროზე აქაური ვარდისფერი ღვინოები Pink Floyd-ის სახელით იყო ცნობილი, ბრიტანული როკ-ჯგუფის პატივსაცემად, რომელმაც მამულში საკულტო ალბომი The Wall ჩაწერა. ჰოლივუდის ვარსკვლავებმა შატო მირავალის ვილა, სადაც 35 ოთახი და ხმის ჩამწერი სტუდიაა, 2008 წელს შეიძინეს. მამული ვენახებიანად 400 ჰექტარზეა გადაჭიმული, მაშინ მეღვინეობის საქმე აქ ცუდად იყო და პიტსა და ჯოლის დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამბობენ, რომ ვარდისფერი ღვინის დაყენებაში ბრედ პიტი პირადად მონაწილეობდა.

უკვლაზე ახალგაზრდა წყვილი დაშორდა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ხელისუფლებამ, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის განქორწინება დააფიქსირა — 8 წლის ატიმა მანგრე 14 წლის ქმარს, არჯუნ ბაკრიდის დაშორდა. მეუღლეებმა ქორწინებაში ოფიციალურად ოთხი წელი გაატარეს, თუმცა ის ფიქტიური იყო, რადგან ბავშვები საკუთარ ოჯახებში ცხოვრობდნენ. ფატიმა 4 წლის იყო, როცა მშობლებმა 10 წლის ბიჭზე გაათხოვეს. როცა „ქმარს“ 14 წელი შეუსრულდა, მეუღლის წამოსაყვანად მშობლების სახლში მივიდა, თუმცა იქ მოულოდნელი სიურპრიზი ელოდა — გოგოს მამამ შვილის გათხოვება გადაიფიქრა და ბიჭი უარით გაისტუმრეს. ფატიმას მამის თქმით, ქალიშვილის გათხოვებას მანამდე არ აპირებდა, ვიდრე მას 18 წელი არ შეუსრულდებოდა. პატარა ქალაქში ვცხოვრობთ და გამუდმებით საზოგადოების ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებით, თუმცა მერე ვიფიქრე, რომ 8 წლის ბავშვის გათხოვება საშინელება იქნებოდა. მას ნორმალური ბავშვობა უნდა ჰქონდეს, — ამბობს ფატიმას მამა.

ფერმა სახურავზე

ერთ დროს ექსცენტრულმა ბიზნესმენმა პეკინის ერთ-ერთი მრავალსართულიანი კორპუსის თავზე სამთო ვილა მოიწყო, მოგვიანებით, საიდუმლოებით მოცული ტაძარი გამოჩნდა პეკინის ერთ-ერთ ცათამბჯენში, ჩინელ ფერმერს პენგ კუიჯენს კი ღია ცისქვეშ, სახლის სახურავზე ფერმა აქვს მოწყობილი და უკვე რამდენიმე წელია ბრინჯი, ხილი თუ ბოსტნეული მოყავს 40 მეტრის სიმაღლეზე, ქალაქ შაოსინში. პენგისთვის ეს ფერმა ჰობი კი არა, სამსახურია და რასაც იგი აკეთებს, ნამდვილად დასაფასებელია. ნაყოფიერი ნიადაგის წყალობით, ამ პატარა მონაკვეთზე საკმაოდ უხვი მოსავალი მოდის — შარშან პენგმა 400 კგ საზამთრო მოიყვანა, წელს ბრინჯი დათესა და მიუხედავად ტაიფუნისა, იმედი აქვს, რომ წლის სამყოფ ბრინჯს მოიყვანს. პენგის აზრით, ნაკვეთის ნაყოფიერება ძირითადად მის კომპაქტურ სტრუქტურას ემყარება, მით უმეტეს, რომ ნიადაგს არ ემუქრება ეროზია. პენგის მეზობლებიც კმაყოფილები არიან და სიამოვნებით ეხმარებიან მოსავლის აღებაში; პრეტენზიას არც ადგილობრივი ხელისუფლება გამოთქვამს.

ტირალა ჩვილის გაყიდვა დააპირეს

ბრაზილიელმა მშობლებმა ჩვილის ინტერნეტით გაყიდვა გადაწყვიტეს, რადგან პატარა მთელი ღამე ტიროდა და ძილს უფრთხობდა, თუმცა ამ განზრახვაში ხელი სამართალდამცავებმა შეუშალეს. მშობლები ბავშვს 267 გირვანქა სტერლინგად ყიდდნენ.

„პატარა რამდენიმე თვისაა. ბევრს ტირის და ძილის საშუალებას არ მაძლევს. არადა, თავის სარჩენად მუშაობა მჭირდება“ — ეს განცხადება ერთ-ერთ ვებგვერდზე განთავსდა, სადაც მითითრებული იყო, რომ ჩვილი ბრაზილიის გოიასის შტატში ცხოვრობს და ამიტომ უპასუხისმგებლო მშობლებს პოლიციამ ადვილად მიაგნო.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	9	7	1	6	5	4	2	3
6	5	4	7	2	3	1	9	8
3	2	1	8	4	9	7	6	5
5	4	9	3	1	2	8	7	6
2	3	8	6	5	7	9	1	4
1	7	6	4	9	8	5	3	2
4	1	5	9	3	6	2	8	7
9	8	3	2	7	4	6	5	1
7	6	2	5	8	1	3	4	9

სტანდარტი

1	8	2	7	6	5	4	3	9
9	7	4	3	2	1	8	6	5
6	3	5	4	9	8	1	7	2
8	6	7	1	5	4	2	9	3
5	2	1	9	8	3	7	4	6
4	9	3	6	7	2	5	1	8
7	5	9	2	4	6	3	8	1
3	4	8	5	1	9	6	2	7
2	1	6	8	3	7	9	5	4

რთული

4	7	6	8	5	1	9	3	2
9	5	1	3	4	2	8	7	6
3	2	8	7	6	9	5	1	4
2	6	3	4	1	8	7	9	5
1	4	5	9	7	6	3	2	8
8	9	7	2	3	5	6	4	1
7	8	9	6	2	4	1	5	3
6	1	4	5	9	3	2	8	7
5	3	2	1	8	7	4	6	9

ექსპერტი

6	5	4	3	2	1	9	8	7
3	2	1	9	8	7	5	6	4
9	8	7	6	5	4	3	2	1
1	9	2	8	6	5	7	4	3
8	7	5	4	1	3	2	9	6
4	6	3	2	7	9	8	1	5
5	4	9	1	3	8	6	7	2
2	3	8	7	4	6	1	5	9
7	1	6	5	9	2	4	3	8

მე-12 გვერდი: 1. დარეჯანი; 2. ორაკული; 3. დუდუკი; 4. რომულუსი; 5. ჯაკუზი; 6. რეპეტიცია; 7. კარამელი; 8. ლელუში; 9. ისლანდია; 10. ენერგია; 11. კომოდი; 12. პაროლი; 13. იკაროსი; 14. ინალიფა; 15. ლეკი; 16. ტამიში; 17. სინუსი; 18. ესე; 19. ნიკე; 20. ცილა; 21. აპრილი; 22. ჰერალდიკა; 23. ციოლკოვსკი; 24. ივნისი; 25. ვაუჩერი; 26. ლირი; 27. ორიგამი; 28. აგლომერატი; 29. „დაიჰაცუ“; 30. ზიარება; 31. ოქრო; 32. რქა; 33. ფესვი; 34. ბურატინო; 35. აეკი; 36. კარლეს; 37. გნუ; 38. იავა; 39. მარნეული; 40. ბრაილი; 41. ნო; 42. არიოზო; 43. ბროსე; 44. ეკონომია; 45. კანა; 46. ისარი; 47. ამნისტია; 48. მარჩილი; 49. ორომი; 50. ამირანი; 51. ბრედ; 52. ევრიკა; 53. ეფესი; 54. ემი; 55. კოტე; 56. იასპი; 57. რასა; 58. აპაში; 59. ურა; 60. ოზმა; 61. კაი; 62. ანი; 63. ტორსი; 64. მუნ; 65. ონო; 66. აია; 67. საფარი; 68. პინა; 69. ლია; 70. ყუა; 71. ასო; 72. ნორა; 73. ტონიკა; 74. ზომბი; 75. ბაზა; 76. ბაიანი; 77. შარპი; 78. კანო; 79. სიო; 80. კორა; 81. ურიკა.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.